



ՀԵՇԻՋԱՆ ԱԼ ԱՅՅՈ

ԱՌԵԿՈՒՄԱՆԱԳՐԻ ՏԱԼԿԵՍ ՏԱՐՏՄ ԱՐԴՅԱՆԱԼՈ ՀՈԽԵՐՈ

# ଓବ୍ୟାମାତିଳୀ

რამინ მაჰმუდზებე  
ისმაილ სადიგოვი  
ნაიდა ისაევა

6

## **ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-6 კლასისათვის ინფორმატიკის საგნის სპეციალური კურსი**



გთხოვთ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული თქვენი გამოხმაურება, შენიშვნები და წინადაღებები გამოაგზავნოთ [bn@bakineshr.az](mailto:bn@bakineshr.az) და [derslik@edu.gov.az](mailto:derslik@edu.gov.az) ელექტრონულ მისამართებზე. წინასწარ მადლობას მოგაბახსენებთ ჩვენთან თანამშრომლობისათვის!

# 6

# ინფორმატიკა შინაარსი

## 1 კომპიუტერი

> 1. როგორ მუშაობს კომპიუტერი . . . . .	8
> 2. სად ინახება ინფორმაცია . . . . .	11
> 3. როგორ ხდება ციფრული ინფორმაციის კოდირება . . . . .	14
> 4. რა ადგილს იკავებს ინფორმაცია . . . . .	17

## 2 პროგრამული უზრუნველყოფა

> 5. პროგრამის გახსნის საშუალებები . . . . .	22
> 6. როდესაც აუცილებელია ნახატის შენახვა . . . . .	24
> 7. როგორ გავაუმჯობესოთ ტექსტის გარეგნული სახე . . . . .	26
> 8. აბზაცის დაფორმატება . . . . .	29
> 9. ელექტრონული პრეზენტაციები . . . . .	32
> 10. სლაიდებზე მუშაობა . . . . .	35
> 11. ობიექტის ინფორმაციული მოდელი . . . . .	38

## 3 ალგორითმი

> 12. ალგორითმის თვისებები . . . . .	42
> 13. ალგორითმების სახეები . . . . .	45
> 14. ციკლური ალგორითმები . . . . .	48
> 15. სახალისო ამოცანები . . . . .	51

## 4 დაკრძალვა

> 16. ცვლადი პროგრამაში . . . . .	56
> 17. არჩევანი პროგრამულ გარემოში . . . . .	59
> 18. ციკლი პროგრამულ გარემოში . . . . .	63
> 19. ციკლები და ნახატები . . . . .	66
> 20. მუსიკა პროგრამულ გარემოში . . . . .	69

## 5 ინტერნეტი

> 21. ინფორმაციულ რესურსებზე მუშაობის ეტაპები I . . . . .	74
> 22. გასეირნება მსოფლიო ქსელში . . . . .	77
> 23. ძიება ინტერნეტში . . . . .	80
> 24. ელექტრონული ფოსტა . . . . .	83
> 25. მიწერ-მოწერა ელექტრონული ფოსტით . . . . .	86

ALPLogo-ს პროგრამული გარემოს ბრძანებები . . . . .	90
სახელმძღვანელოში გამოყენებული ინგლისური სიტყვები და ფრაზები . . . . .	94
სახელმძღვანელოში გამოყენებული შემოკლებები . . . . .	96

## გაეცანით სახლმძღვანელოს

### 7. რომორ გავაუმჯობესოთ ტექსტის გარეაჩელი სახე



- რისთვისაა გამიზული ტექსტის ზოგიერთი ნაილის გამოყოფა?
- რომელი გამოყოფები ზოგიერთი სტუკას მუჭი შროტტით, ზოგიერთს კი – დაბრინლით?

იმისთვის, რომ მომზადებულმა ტექსტის განვითარა ინფორმაცია სწორად და ოპტიმულად, რომ რამდენიმე გარეული სახეს სხვადასხვანირ შროტტების გამოყენებით კვლავნ, მაგალითად, ზოგიერთი სტუკას და ზორაზას მუჭი ან ძრიკიადან ტექსტისათვის განსხვავებული ფურის შროტტით გამოყოფენ.


#### საქართველოს

- ტექსტის არაუდ ტექსტურ რედაქტორი:**  
1. გასტარით ტექსტურ რედაქტორი Microsoft Office Word ან Open Office.org Writer;  
2. გამოყენებულ დოკუმენტი  ან მენიუს მარაგზე File → New და შექმნით ახალ დოკუმენტი;  
3. არაუდ შემცვევა ტექსტის რა ან ღრუბლება  
რისტრაცია მოწოდება, მოვალე პერი ცაში არა, ნარისიტმა ინტერაქტიული, თბილი ჰარავის მიზანით თანხმოვა წარიდობა. ტექსტურ რედაქტორის მიზანი და მიზანი რედაქტორის მიზანი და მიზანი შროტტის და მუჭის შროტტის მიზანი განსხვავდება. მაგალითად, რედაქტორის მიზანი შროტტის და მუჭის შროტტის მიზანი, და სისტემის მიზანი სამართლებულების მიზანი, რედაქტორის მიზანი და სისტემის მიზანი სამართლებულების მიზანი, და სისტემის მიზანი სამართლებულების მიზანი.

კონტაქტი

2

ტექსტის ნებისმიერი რეაგმენტის გაფორმებას და ფორმატებას უზრუნველყოფს. დაფორმებულისას უფრო ტექსტი კა არა, მას გარეული სახეს ცვლან. ამისათვის დაფორმებულის ანგარიშის შროტტის განვითარების შემთხვევაში და მუჭის შროტტის განვითარების შემთხვევაში.



**მოტივაცია.** საინტერესო სიცურაცი-ებისა და მოვლენების აღწერა, რომელიც მთავრდება შეკი-თხვებით. ეს კითხვები ადრე შეძენილ ცოდნას ეფუძნება და კლასში განსახილველადაა გამიზნული.

**საქმიანობა.** კვლევითი ხასიათის დავალებები, რომელთა მიზანია საინტერესო მოვლენებისა და პროცესებსა შესწავლა, მათ შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გამოვლენა. პრაქტიკულ გაკვეთილებზე დავალებები ალგორითმის სახითაა მოცემული. აღინუსხება ალგორითმის თითოეული ნაბიჯის შესრულების შედეგები.

**დაიმახსოვრებელი.** კონკრეტული თემის ფარგლებში ნასწარული ყველა ძირითადი ცნების ჩამონათვალი.

**განმარტებები.** გაკვეთილის ძირითადი ნაწილი: ახალი ცნებები, თემასთან დაკავშირდებული სტილების ნარიტი, განმარტებების შემთხვევაში მუჭის შროტტის განვითარების შემთხვევაში და ფორმატების განვითარების შემთხვევაში მუჭის შროტტის განვითარების შემთხვევაში (1 პარაგრაფი = 35 გვ). ზოგიერთი ფართოდ

**ეს საინტერესოა.** მაგალითების ნიმუშები და შექცნილი ცოდნის გასაღრმავებლად გამიზნული საინტერესო ინფორმაცია.

**შევისწავლოთ დამოუკიდებლად.**  
დავალებები დამოუკიდებელი  
მუშაობისა და შექნილი ცოდნის  
გამოყენებისათვის.

**შეამოწმე შენი ცოდნა.** თემის  
ფარგლებში შესწავლილი მასალის  
განსამტკიცებლად გამიზნული  
დავალებები.

შემაჯამებელი დავალებები.  
კითხვები და დავალებები,  
ყოველი ცალკეული თავისათვის,  
რომლებიც შეიძლება  
გამოყენებულ იქნეს მოსწავლის  
ცოდნის შემაჯამებელი შეფასების  
მიზნით.

ეს საინტერაცია


ერთი გიგაბაიტში დაახლოებით მიღლიარდი ბაიტია. ასეთი მოცულობის მეხსიერებას შეუძლია დაიტიოს;

- დანერქული ტექნიკის 500 ასამ გვერდზე, არც დანერქული ტექნიკას ასახავთ რომელიც  
ასახს მაღალანარისტობური ფუნქცია სპასაფა;  
5 ასამს უყვარს ტელეწამისად  
100-საათიან ლაპტოპისა და უკონფიგურებული (ამ შემთხვევაში დასახის სისტემაში),  
რომელიც ტელეჭრულზე ლაპარაკისა  
20-საათიან მარტივი მოწვევა უკონფიგურებული  
15-წუთიანი მაღალანარისტობური ფუნქცია  
ფუნქცია  
ორსასათვის გადატანისას რენტ მეტე ასამ გვერდზე, არც



• შევისწოდეთ დამოუკიდებლად

ଶ୍ରୀମତୀ ପାଦମଣି କାନ୍ତିଲିଙ୍ଗ



# კომპიუტერი

გვ. 7-20

1

- > 1. როგორ მუშაობს კომპიუტერი
- > 2. სად ინახება ინფორმაცია
- > 3. როგორ ხდება ციფრული ინფორმაციის კოდირება
- > 4. რა ადგილს იკავებს ინფორმაცია



## 1. როგორ მუშაობს კომპიუტერი




- რას გულისხმობდა დედა, როცა სხვა მოწყობილობებს ახსენებდა?

### საქმიანობა

როგორ მუშაობს კომპიუტერის მოწყობილობები ინფორმაციაზე.

ჩანს როგორ მოწყობილობების სახელ- წოდებანი სათანადო ადგილებზე.



#### ვიმსჯელოთ:

- ამ მოწყობილობებიდან რომლის გარეშე ვერ იმუშავებს კომპიუტერი?


კომპიუტერის მოწყობილობების ერთობლიობა მის **აპარატულ უზრუნველყოფას** ქმნის. მაშასადამე, აპარატულ უზრუნველყოფაში კომპიუტერის ის ნაწილები იგულისხმება, რომლებსაც ვხედავთ და ვეხებით. კომპიუტერის წარმატებით გამოსაყენებლად აუცილებელია, ცოტა რამ მაინც ვიცოდეთ მისი აპარატული უზრუნველყოფის შესახებ. ეს ცოდნა ჩვენი სამუშაოსთვის შესაფერისი კომპიუტერის შერჩევაშიც დაგვეხმარება. ყველა კომპიუტერი, მათი სახეობის განურჩევლად, მონაცემების მისაღებად და გარკვეული წესით გარდასაქმნელადაა განკუთვნილი. მიუხედავად იმისა, რომ ცნებები „ინფორმაცია“ და „მონაცემები“ ხშირად ერთი და იმავე მნიშვნელობით იხმარება, არსობრივად ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება. მონაცემებში რომელიმე მატარებელზე ჩაწერილი ინფორმაცია იგულისხმება, რომლის აზრს ზოგ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს. მაგალითად, სიმბოლოების თანამიმდევრობა '19091985' ან 'VD51FGD' მონაცემებია, ინფორმაციას კი ისეთი მონაცემებისგან

იღებენ, რომელთაც გარკვეული აზრი გააჩნია. მაშასადამე, თუ თქვენ იცით, რას ნიშნავს ზემოთ მოყვანილი სიმბოლოების ნაკრები, ეს უკვე ინფორმაციაა, მაგალითად სიმბოლოთა თანა-მიმდევრობა '19091985' შეიძლება იყოს რაიმე საქონლის კოდი ან ადამიანის დაბადების თარიღი (19 სექტემბერი, 1985 წელი). როგორც კი მონაცემები აზრს შეიძენს, ისინი ჩვენთვის ინფორმაციად იქცევა.

#### დაიმახსოვრეთ

კომპიუტერის ყარატული უზრუნველყოფა შემტანი მოწყობილობა გამომტანი მოწყობილობა მექსიურება პროცესორი მონაცემები

#### კომპიუტერული სისტემის მუშაობის პრინციპი



1. კომპიუტერში ინფორმაცია შემტანი მოწყობილობის მეშვეობით შედის.
2. შუალედური შედეგები, მათ შორის, ის ინფორმაციაც, რომლითაც შემდგომში შეგვიძლია ვისარგებლოთ, მექსიურების მოწყობილობაში ინახება.
3. პროცესორის დანიშნულება ინფორმაციის დამუშავებაა.
4. მომხმარებელი ინფორმაციას გამომტანი მოწყობილობით იღებს.

კომპიუტერში ინფორმაციის შესატანად ძირითადად კლავიატურასა და თაგვის იყენებენ. ამავე მიზანს ემსახურება სხვა მოწყობილობებიც: სკანერი, ჯოისტიკი, ტრეკბოლი, გრაფიკული პლანშეტი, სენსორული ეკრანი, ციფრული კამერა. ამ მოწყობილობებს კომპიუტერის შემტანი მოწყობილობებს უწოდებენ.

#### შემტანი მოწყობილობები



კლავიატურა



თაგვი



სკანერი



ვებკამერა


#### ეს საინტერესოა

პირველ კომპიუტერებში ინფორმაცია პერფოლენტის ან პერფობარათის მეშვეობით შეჰქმნდათ.



პროცესორი კომპიუტერის სისტემურ ბლოკშია მოთავსებული. ის სისტემური ბლოკის ძირითად მოწყობილობაზე – დედაპლატაზე – არის დამაგრებული.

## კომპიუტერის ძირითადი ელემენტები



პროცესორი, რომელიც საკმაოდ მცირე ზომისაა (მისი ფართობი დაახლოებით  $2 \text{ см}^2$ -ია), კომპიუტერის ყველა მოწყობილობის მუშაობას მართავს.

კომპიუტერის ყველა პროგრამა მასში, შეტანილი მონაცემები, შუალედური თუ საბოლოო შედეგები სადღაც უნდა ინახებოდეს. საამისოდ მესაირების სხვადასხვა მოწყობილობაა გათვალისწინებული.

კომპიუტერში შესრულებული სამუშაოს შედეგების სანახავად ყველაზე ხშირად მონიტორს ან პრინტერს იყენებენ. მათ **გამომტან მოწყობილობებს** უწოდებენ. არსებობს სხვა გამომტანი მოწყობილობებიც: ყურსაცმები, დინამიკები, პროექტორი, პლოტერი.

## გამომტანი მოწყობილობები



## შევისწავლით დამოუკიდებად

გაარკვიეთ, რა გზით შეიძლება მაგიდის კომპიუტერში ტექსტური, გრაფიკული, ხმოვანი და ვიდეოონფორმაციის შეტანა.

## შეამოვავ შენი ცოდნა

- რა ინფორმაციული პროცესები მიმდინარეობს კომპიუტერში?
- რომელი მოწყობილობებია აუცილებელი კომპიუტერში ინფორმაციული პროცესების განსახორციელებლად?
- რომელი სიტყვაა ზედმეტი თითოეულ ჯგუფში?
  - კლავიატურა, მიკროფონი, ყურსაცმები, სკანერი.
  - მონიტორი, პრინტერი, პროექტორი, სკანერი.

## 2. სად ინახება ინფორმაცია

ნებისმიერი ადამიანის მეხსიერებაში უამრავი ინფორმაცია ინახება. ჩვენ, ჩვეულებრივ, არასოდეს გვავიწყდება მეგობრების სახელები, შინისკენ მიმავალი გზა, საყვარელი წიგნებისა და ფილმების სათაურები, მაგრამ ზოგჯერ გვიჭირს ჩვენთვის საჭირო ინფორმაციის გახსენება. მნიშვნელოვანი ინფორმაციის დიდხანს შესანახად სხვადასხვა მატერიალურ მატარებელს იყენებენ.



- ინფორმაციის რომელ მატარებლებს იცნობთ?
- რომელი მათგანი გამოიყენება უფრო ხშირად?

### საქმიანობა

**სად უფრო მოსახერხებელია შემდეგი ინფორმაციის შენახვა?**

მეგობრებთან ერთად გადაღებული ფოტოსურათები.

თანაკლასელების ტელეფონის ნომრები.

სკოლის კომპიუტერში შექმნილი ნახატი.

საყვარელი მუსიკა.

**ვიმსჯელოთ:**

- როდის ხდება აუცილებელი ინფორმაციის შენახვა?
- როგორ უძდა ვისარგებლოთ შენახული ინფორმაციით?

კომპიუტერში შეტანილი და შემდგომ გადამუშავებული მონაცემები მის მეხსიერებაში, უფრო ზუსტად, ოპერატიულ მეხსიერებაში (სხვანაირად მას **ოდევ** – ოპერატიული დამამახსოვრებელი მოწყობილობა – ჰქვია) ინახება. ოპერატიული მეხსიერება დროებითია, რაც იმას ნიშნავს, რომ კომპიუტერის გამორთვის შემდეგ მისი შიგთავსი იშლება. თუ მონაცემების დიდი ხნით შენახვაა აუცილებელი, მათ მყარ დისკზე, დისკეტაზე, CD-ზე ან DVD-ზე იწერენ.



**ოდევ**

**დისკები** (დრეკადი მაგნიტური დისკი) 10-15 წლის წინ იყო გავრცელებული. მათი მოცულობა 1,44 მეგაბაიტს შეადგინდა. თანამედროვე კომპიუტერებს პრაქტიკულად არ აქვს ასეთ დისკებზე მუშაობის მოწყობილობა.

კომპიუტერის ძირითადი დამამახსოვრებელი მოწყობილობაა მყარი დისკი. მყარი დისკი (HDD ანუ ვინჩესტერი) მაგიდის კომპიუტერის სისტემურ ბლოკშია მოთავსებული. მყარი დისკი ყველა კომპიუტერს აქვს. მასში ინახება კომპიუტერში არსებული ყველა პროგრამა და მონაცემები. დიდი მოცულობის ინფორმაციის კომპიუტერის გარეთ შესანახად გარე მყარ დისკს მიმართავენ.



დისკება



მყარი დისკი



გარე  
მყარი დისკი



ოპტიკური  
დისკი

ძალიან ხშირად კომპიუტერისთვის საჭირო პროგრამები და სხვა რესურსები იპტიკურ დისკებში ინახება. ოპტიკური დისკის რამდენიმე სახეობა არსებობს.

**CD-ROM** (იკითხება, როგორც „სი-დი-რომი“) 700 მეგაბაიტის მოცულობის ინფორმაციას იტევს, ანუ ერთი ასეთი დისკის ინფორმაციული მოცულობა 500 დისკეტის ინფორმაციულ მოცულობას უტოლდება. CD-ROM-ზე ჩანარილი ინფორმაციის ნაკითხვა შეიძლება, მაგრამ ზედ რამის ჩანერა შეუძლებელია (ROM – read only memory, ქართულად „მხოლოდ საკითხავს“ ნიშნავს). მისგან განსხვავებით, ისეთ დისკებზე, როგორებიცაა **CD-R** და **CD-RW**, ინფორმაციის ჩანერაც შეიძლება.

**DVD** (იკითხება, როგორც „დი-ვი-დი“) გარეგნულად CD-ს ჰგავს, მაგრამ ის უფრო მეტ ინფორმაციას იტევს. სტანდარტული DVD თისკის მოცულობა 4,7 გბაიტს შეადგენს, თუმცა ამ სახის დისკები უფრო მეტი მოცულობისაც არსებობს.

## ეს საინიციალო

1956 წლის 13 სექტემბერს კომპანია IBM-მა პირველი მყარი დისკი გამოუშვა. ეს დისკი, რომელსაც RAMAC-305 ერქვა, ორი მაცივრის ზომის იყო. ის 1 ტონას იწონიდა და მხოლოდ 5 მეგაბაიტის მოცულობის ინფორმაციას იტევდა.



ბოლო ხანებში ბევრი მობილური ციფრული მოწყობილობა გაჩნდა: ციფრული ფოტო და ვიდეოკამერები, MP3-პლეიერები, ჯიბის კომპიუტერები, მობილური ტელეფონები. ამ მოწყობილობებს მცირე ზომის ინფორმაციული მატარებელი ესაჭიროება. ამ მიზნით ფლეშბარათებს იყენებენ. კომპიუტერიდან ინფორმაციის გადმოსაწერად, ძირითადად, ფლეშმეხსიერებით – სარგებლობენ.

#### დანართი

ინფორმაციის მატარებლები იპერატიული მეხსიერება დისკება  
მყრი დისკი  
ოპტიკური დისკი  
ფლეშმეხსიერება



ფლეშბარათი

ფლეშმეხსიერება



კომპიუტერის თითოეულ დისკს თავისი პიქტოგრამა და სახელი აქვს. ისინი ლათინური ანბანის მთავრული ასოებით აღინიშნება. მაგალითად, სიმბოლო C მყარი დისკის სახელს აღნიშნავს.

## შევისწავლით დამოუკიდება

გამოიყენეთ მოცემული ალგორითმი და კომპიუტერის მეხსიერებიდან საჭირო ინფორმაცია ფლეშმეხსიერებაზე გადაიწერეთ.




1. შეუერთეთ ფლეშმეხსიერება კომპიუტერის USB-პორტს;
2. აირჩიეთ კომპიუტერის მეხსიერებაში ნებისმიერი ფაილი და მონიშნეთ იგი;
3. დააჭირეთ კლავიშების კომბინაცია <Ctrl+C>-ს;
4. გახსნით საქალალდე My Computer;
5. იპოვეთ ფლეშმეხსიერების პიქტოგრამა და ორჯერ დააწაპუნეთ მასზე. გაიხსნება ფანჯარა, რომელშიც ფლეშმეხსიერების შიგთავსი გამოჩინდება;
6. დააჭირეთ კლავიშების კომბინაცია <Ctrl+V>-ს. თქვენი ამორჩეული ფაილი ფლეშმეხსიერებაზე ჩაინერება.

## შეამოცეთ შენი ცოდნა

შეცვალეთ მცდარი გამონათქვამები ჭეშმარიტით:

- კომპიუტერის გამორთვისას იპერატიული მეხსიერებიდან ინფორმაცია იშლება.
- CD-R-ზე ინფორმაციის ჩაწერა შეუძლებელია.
- CD-ROM-ის მოცულობა უფრო მეტია, ვიდრე DVD-ROM-ისა. მყარ დისკს ვინჩესტერს უწოდებენ.

### 3. როგორ ხდება ციფრული ინფორმაციის კოდირება



- როგორ მიხვდა ნარგიზი, რომ ტაქსი, რომელიც მათ უახლოვდებოდა, თავისუფალი იყო?
- როგორ მიხვდება მძღოლი, რომ ნარგიზს და მამამისს ტაქსი სჭირდებათ?

#### საჭიროება

როგორ შეიძლება ინფორმაციის კოდირება ორი სიმბოლოს გამოყენებით? მორზეს ანბანის გამოყენებით კოდურად ჩაწერეთ ნებისმიერი სიტყვა, თქვენმა მეგობარმა კი ამ სიტყვის ამოკითხვა სცადოს.

ა	—	ნ	—·	ჰ	-----	4	····
ბ	—···	ო	——	ჩ	·····	5	····
გ	—··	კ	····	კ	·····	6	—····
დ	—··	ქ	····	ქ	·····	7	—·····
ე	·	რ	···	რ	····	8	—·····
ვ	··—	ს	··	ს	····	9	—·····
ზ	—···	ტ	—	ტ	····	0	—····
თ	····	უ	···	უ	····	,	·····
ი	··	ფ	··	ფ	····	?	·····
კ	—··—	პ	····	პ	·····	!	·····
ლ	····	ე	····	ე	·····	:	—····
მ	—··	ვ	····	ვ	·····	„	·····
ე	—						

#### ვიმსჯელოთ:

- კიდევ რომელი სიმბოლოების გამოყენება შეიძლება ინფორმაციის კოდირების მიზნით?
- როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ გავიგოთ, რა ინფორმაციაა კოდირებული?

ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ **თვლის** ათობითი **სისტემით** ვსარგებლობთ. ამ სისტემაში ყველა რიცხვი ათი ციფრის (0,1,2,3,4,5,6,7,8,9) მეშვეობით გამოისახება, თუმცა ყოველთვის ასე არ იყო.

სხვადასხვა ეპოქაში თვლის სხვადასხვა სისტემას იყენებდნენ. კომპიუტერების შექმნისას მისმა გამომგონებლებმა უპირატესობა თვლის ორობით სისტემას მიანიჭეს. თვლის ორობითი სისტემის სიმბოლოებს, 0-სა და 1-ს, ორობითი **ციფრებს** (ინგლ. binary digit – „ორობითი ციფრი“) ანუ **ბიტებს** უწოდებენ.

რატომ სარგებლობენ კომპიუტერებში თვლის ორობითი სისტემით? ნუთუ არ შეიძლება მათშიც ადამიანებისთვის მოსახერხებელი ათობითი სისტემის გამოყენება? ცხადია, შეიძლება! მაგრამ ინფორმაციის კოდირება ორი ციფრით – 1-ითა და 0-ით – ტექნიკური თვალსაზრისით უფრო მარტივია, ვიდრე კოდირების სხვა საშუალებით (1 – არის სიგნალი, 0 – არ არის სიგნალი).

არის სინათლე



გამორთულია ჩართულია

1

არ არის სინათლე



გამორთულია ჩართულია

0

მათემატიკის კურსიდან ცნობილია: იმისათვის, რომ ათობით სისტემაში ჩაინეროს რიცხვი, რომელიც 9-ზე მეტია, ემატება ათეულების თანრიგი, ერთეულების თანრიგი კი ნულდება და თვლა გრძელდება. 19-ის შემდეგ ათეულების თანრიგი 1-ით იზრდება, ერთეულების თანრიგი კი კვლავ ნულდება და ასე გრძელდება შემდგომშიც. როცა ათეულებიცა და ერთეულებიც 9-ს უტოლდება, იქმნება ასეულების თანრიგი. თვლის ორობით სისტემაშიც ასე ითვლიან. რადგან აქ ყველაზე დიდი რიცხვია 1, როცა თანრიგი 1-ის ტოლი ხდება, იქმნება ახალი თანრიგი, ხოლო მისი წინამორბედი ნულდება. თუ ამ წესით ვისარგებლებთ, მაშინ თვლის ორობით სისტემაში რიცხვები ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

0	ნოლი
1	ერთი
10	ორი
11	სამი
..	

100010 ოცდათოთხმეტი

როგორც ვხედავთ, თვლის ორობით სისტემაში რიცხვის გაზრდა მნიშვნელოვნად ზრდის მისი ჩანაწერის სიგრძეს.

როგორ ჩავწეროთ ათობითი რიცხვი თვლის ორობით სისტემაში? ამისათვის შემდეგ მეთოდს იყენებენ: ათობითი რიცხვი იყოფა 2-ზე; განაყოფი, თავის მხრივ, კვლავ 2-ზე იყოფა და ასე გრძელდება მანამდე, სანამ განაყოფი ნულს არ გაუტოლდება. გაყოფის ყველა ნაშთი უკულმა თანამიმდევრობით იწერება, რითაც ათობითი რიცხვის ორობითი ჩანაწერი მიღება.

### გაგალითი

ვიპოვოთ რიცხვ 77-ის ორობითი ჩანაწერი.

$$\begin{array}{rcl}
 77 & : & 2 = 38 \text{ ნაშთი (1)} \\
 38 & : & 2 = 19 \text{ ნაშთი (0)} \\
 19 & : & 2 = 9 \text{ ნაშთი (1)} \\
 9 & : & 2 = 4 \text{ ნაშთი (1)} \\
 4 & : & 2 = 2 \text{ ნაშთი (0)} \\
 2 & : & 2 = 1 \text{ ნაშთი (0)} \\
 1 & : & 2 = 0 \text{ ნაშთი (1)}
 \end{array}$$



გაყოფის ყველა ნაშთი ბოლოდან პირველისკენ რომ ჩავიწეროთ, მივიღებთ რიცხვს 1001101. ამგვარად, რიცხვი 77 ორობით სისტემაში ასე გამოიყენება: 1001101.

თვლის სხვადასხვა სისტემის რიცხვებზე მუშაობისას უნდა მივუთითოთ, რომელ სისტემაშია ჩაწერილი მოცემული რიცხვი. ამისათვის იყენებენ ქვედა ინდექსს. მაგალითად:

$$77_{10} = 1001101_2$$

### შევისწავლოთ დამოუკიდებლად

1. მე 100 ამა მყავს. უმცროსი 1000 წლისაა, უფროსი კი 1111 წლის. უფროსი ამა 1001-ე კლასში სწავლობს. ეს შესაძლებელია?
2. რაუფს ერთ პარკში 101 კამფეტი აქვს, მეორეში კი - 1 კამფეტით მეტი. სულ რამდენი კამფეტი აქვს რაუფს?

### შეამოწეო შევი ცოდნა

1. რატომ გამოიყენება კომპიუტერებში თვლის ორობითი სისტემა?
2. როგორ გადავიყვანოთ ნებისმიერი ნატურალური რიცხვი თვლის ორობით სისტემაში?
3. ამ რიცხვებიდან რომელი შეიძლება იყოს ორობითი?
- 451, 2011, 101110101, 1020110210, 101
4. გადაიყვანეთ 1-დან 16-მდე რიცხვები თვლის ორობით სისტემაში.
5. ჩაწერეთ რიცხვები 17, 33 და 82 თვლის ორობით სისტემაში.
6. რომელი რიცხვი მოსდევს რიცხვ 100001<sub>2</sub>-ს?

## 4. რა ადგილს იკავებს ინფორმაცია



- რამდენი ფაილი მოთავსდება ერთ დისკზე?

### საქმიანობა

**ფაილების მოცულობის განსაზღვრა.**

თანამიმდევრობით გახსენით საქალალდები My Pictures, My Musik და My Documents და შეასრულეთ შემდეგი ალგორითმი:

1. მონიშნეთ ფაილი;
2. დააწერეთ თაგვის მარჯვენა ღილაკზე;
3. კონტექსტური მენიუდან აირჩიეთ პუნქტი Properties (თვისებები);
4. გახსნილ ფანჯარაში იპოვეთ ფაილის ზომა;
5. დაწერეთ ფურცელზე ფაილის სახელი, ტიპი და ზომა.

#### ვიმსჯელოთ:

- რა ერთეულებითაა გამოსახული ფაილის ზომა?
- რომელი ტიპის ფაილი იყავებს მეტ ადგილს?

კომპიუტერში ნებისმიერი სახის ინფორმაცია – ტექსტი, ბერები, გრაფიკა და სხვ. – ორობითი კოდითაა წარმოდგენილი, ანუ კოდირებულია.



როგორც იცით, **ბიტი** ინფორმაციის მოცულობის მინიმალური საზომი ერთეულია. მეხსიერების მოცულობის მისათითებლად უფრო მსხვილი ერთეულები გამოიყენება. რვა ბიტის თანმიმდევრობას **ბაიტი** ეწოდება.

$$1 \text{ ბაიტი} = 8 \text{ ბიტს}$$

### დაიმახსოვრებელი

ინფორმაციის მოცულობა  
დისკის ზომა  
ბიტი  
ბაიტი  
ფაილის ზომა

კომპიუტერში ნებისმიერი ციფრი, ასო და სხვა სიმბოლო კოდურად 8 ბიტის მიმდევრობით გამოისახება, მაგალითად: ციფრ 1-ის ორობითი კოდი არის 00110001, ასო A-ს კოდი – 01000001, სიმბოლო \* კი აღინიშნება კოდით 00101010.


მაშასადამე, ყოველი სიმბოლო, მათ შორის, შუალედიც (ჰარი), კომპიუტერის მეხსიერებაში 1 ბაიტს იკავებს, მაგალითად, ამ თემის სათაური 33 ბაიტს დაიკავებს, ხოლო ტექსტი რუბრიკა „საქმიანობაში“ (თუ შუალედებსაც გავითვალისწინებთ) – 414 ბაიტს.

სიმბოლო	ორობითი კოდი	სიმბოლო	ორობითი კოდი
0	00110000	A	01000001
1	00110001	B	01000010
2	00110010	C	01000011
		D	01000100

ბაიტი ინფორმაციის დიდი ერთეული არ არის. ამიტომ დიდი მოცულობის ინფორმაციის გასაზომად უფრო მსხვილი ერთეულებით სარგებლობენ.

საზომი ერთეული	მოკლე ჩანაწერი	ბაიტებში (მიახლოებით)	ბაიტებში (ზუსტად)
ბაიტი		1	1
კილობაიტი	კ, კბაიტი	1 000	1 024
მეგაბაიტი	მ, მბაიტი	1 000 000	1 048 576
გიგაბაიტი	გ, გბაიტი	1 000 000 000	1 073 741 824
ტერაბაიტი	ტ, ტბაიტი	1 000 000 000 000	1 099 511 627 776

ფაილის ზომის დასადგენად საკმარისია, თაგვის მაჩვენებელი მის პიქტოგრამასთან მივიყვანოთ და ცოტა დავიცადოთ. გაიხსნება შესაბამისი ფანჯარა, რომელშიც ფაილის მახასიათებლებია მოცემული, მათ შორის, ინფორმაცია ფაილის ზომის (Size) შესახებ. თუ ეს ფანჯარა არ იხსნება, ამ შემთხვევაში საჭიროა, თაგვის მარჯვენა ღილაკზე დავწკაპუნოთ და კონტექსტური მენიუდან პუნქტი Properties ავირჩიოთ, სადაც ასევე ვნახავთ ფაილის ზომას. ზუსტად ასევე შეიძლება საქაღალდის ზომების განსაზღვრაც.



## ეს საინტერასოა

ერთ გიგაბაიტში დაახლოებით მიღიარდი ბაიტია. ასეთი მოცულობის მეხსიერებას შეუძლია დაიტიოს:


- დაბეჭდილი ტექსტის 500 ათასი გვერდი, ანუ დაახლოებით ათასამდე რომანი;
- ათასი მაღალხარისხოვანი ფერადი სლაიდი;
- 5 ათასი ფერადი ფოტოსურათი;
- 100-საათიანი ლაპარაკის აუდიოჩანაწერი (ამ შემთხვევაში ჩანაწერის ხარისხი ისეთივეა, როგორც ტელეფონზე ლაპარაკისას);
- MP3-ს ფორმატის 20-საათიანი მუსიკა;
- 15-წუთიანი მაღალხარისხოვანი ფერადი ფილმი;
- MPEG ფორმატის ორსაათიანი ვიდეოჩანაწერი.



## შევისწავლოთ დამოუკიდებულება

ფაილის ზომის განსაზღვრის მეთოდით მეხსიერების სხვადასხვა მოწყობილობის (დისკების) მოცულობის დადგენაც შეიძლება. ამ გზით დისკის საერთო მოცულობასთან ერთად იმასაც გავიგებთ, მისი რა ნაწილია დაკავებული ინფორმაციით.

მიუჟერთე კომპიუტერს მეხსიერების ნებისმიერი მოწყობილობა და განსაზღვრე მისი მოცულობა. მეხსიერების რა ნაწილია დაკავებული და რა ზომის თავისუფალი ადგილია დარჩენილი?



## შეამოცე შენი ცოდნა

1. დაალაგე ზრდის მიხედვით ინფორმაციის საზომი ერთეულები.
2. რა ადგილს დაიკავებს კომპიუტერის მეხსიერებაში გამონათქვამი: „არა-სოდეს გადადო ხვალისთვის ის, რის გაკეთებაც დღესვე შეიძლება“?
3. გამოთვალე, შენი რომელი თანაკლასელის სახელი და გვარი დაიკავებს კომპიუტერის მეხსიერებაში ყველაზე ღიღი ადგილს.
4. იპოვე შენი საყვარელი წიგნის ელექტრონული ვერსია და განსაზღვრე მისი მიახლოებითი მოცულობა.

## შემაჯამებელი დავალებები

1. ამ მტკიცებათაგან რომელია ჭეშმარიტი?

- ინფორმაცია კომპიუტერში შემტანი მოწყობილობების მეშვეობით შედის.
- კომპიუტერის შემტანი მოწყობილობის დანიშნულება ინფორმაციის მუშავდებაა.
- პროცესორი შემტან მოწყობილობებს მიეკუთვნება.
- კომპიუტერში ინფორმაციის მუდმივად შესანახავად მყარი დისკი გამოიყენება.
- CD-ROM დისკზე რაიმეს ჩანერა შეუძლებელია.
- კომპიუტერში თვლის ათობით სისტემაში ჩანერილი ინფორმაცია ინახება.
- ორობით ციფრს ბიტი ეწოდება.
- კომპიუტერში შეტანილი ყოველი სიმბოლო კოდირდება.

2. ამოხსენით კროსვორდი:

ჰორიზონტალურად:

1. კომპიუტერში ინფორმაციის გადამამუშავებელი მოწყობილობა;
2. დრეკადი მაგნიტური დისკი;
3. თვლის სისტემა.

ვერტიკალურად:

1. გამომტანი მოწყობილობა;
4. კომპიუტერის დროებითი მეხსიერება – ... მეხსიერება;
5. საბეჭდი მოწყობილობა;
6. დისკის ნაირსახეობა – ... დისკი.



# პროგრამული უზრუნველყოფა

გვ. 21-40

2

- > 5. პროგრამის გახსნის საშუალებები
- > 6. როდესაც აუცილებელია ნახატის შენახვა
- > 7. როგორ გავაუმჯობესოთ ტექსტის გარეგნული სახე
- > 8. აბზაცის დაფორმატება
- > 9. ელექტრონული პრეზენტაციები
- > 10. სლაიდებზე მუშაობა
- > 11. ობიექტის ინფორმაციული მოდელი

## 5. პროგრამის გახსნის საშუალებები



### დაიმახსოვრებელი

ორმაგი დაწყაპუნება  
სწრაფი გახსნის/ პანელი  
პიქტოგრამა  
იარღიყვნა

- რომელი კომპიუტერული პროგრამებით სარგებლობთ?
- როგორ ხსნით მათ?

### საძმიანობა

როგორ შეიძლება კომპიუტერის პროგრამების გახსნა?

ჩართეთ კომპიუტერი და შეასრულეთ შემდეგი მოთითებები:

1. კომპიუტერის სამუშაო მაგიდაზე იპოვეთ თქვენთვის ნაცნობი პროგრამის პიქტოგრამა და ორჯერ დააწყაპუნეთ მასზე;
2. ლილაკ START-ით გახსენით მთავარი მენიუ. დააწყაპუნეთ პუნქტ All Programs-ზე, ჩამოშლილ სიაში იპოვეთ ნებისმიერი პროგრამის სახელ-ნოდება და დააწყაპუნეთ მასზე;
3. გახსენით კომპიუტერში საქალალდე, რომელშიც თქვენი ფაილები ინახება. ორჯერ დააწყაპუნეთ ნებისმიერ ფაილზე.


#### ვიმსჯელოთ:

- რომელი პროგრამები გახსენით?
- პროგრამის გახსნის რომელი საშუალება მიგაჩნიათ ყველაზე მარტივად?

კომპიუტერის პროგრამის გახსნა სამუშაო მაგიდაზე შესაბამის პიქტოგრამაზე ორჯერ დაწყაპუნებით ან მთავარი მენიუს გამოყენებით თქვენ უკვე შეგიძლიათ. ზოგადად, პროგრამების გახსნა კომპიუტერში შემდეგი მეთოდებით შეიძლება:

- ① **პროგრამის გახსნა სამუშაო მაგიდიდან.** თუ სამუშაო მაგიდაზე პროგრამის პიქტოგრამა არის, პროგრამა მასზე ორჯერ დაწყაპუნებით გაიხსნება.
- ② **პროგრამის გახსნა საქალალის ფანჯრიდან.** თუ სამუშაო მაგიდაზე პროგრამის პიქტოგრამა არ არის, მაშინ უნდა გავხსნათ საქალალდე, რომელშიც ის ინახება, და მასზე ორჯერ დავაწყაპუნოთ.
- ③ **პროგრამის გახსნა მთავარი მენიუდან.** მთავარ მენიუში კომპიუტერში ჩატვირთული ნებისმიერი პროგრამის სახელწოდების პოვნა შეიძლება. შენიუმი ამ სახელწოდების პოვნის შემდეგ პროგრამა მასზე ორჯერ დაწყაპუნებით ჩაირთვება.

- ④ პროგრამის გახსნა სწრაფი ჩართვის პანელიდან. ამოცანათა პანელზე ღილაკ START-ის გვერდით არის სწრაფი ჩართვის პანელი. მასზე, ჩვეულებრივ, განთავსებულია იმ პროგრამების პიქტოგრამები, რომლებსაც ხშირად იყენებენ. სასურველი პროგრამის გასახსნელად საკმარისია მის პიქტოგრამაზე დაწკაპუნება.



- ⑤ პროგრამის გახსნა მასში შექმნილი ფაილის მეშვეობით. ნებისმიერი ფაილის პიქტოგრამაზე ორჯერ დაწკაპუნებითაც შეგვიძლია შესაბამისი პროგრამის ჩართვა. მაგალითად, თუ ტექსტურ ფაილზე ორჯერ დავაწკაპუნებთ, გაიხსნება ტექსტური რედაქტორი. ეს მეთოდი ძალზე მოსახერხებელია უკვე არსებულ ფაილებზე მუშაობისას.



როდესაც ფაილი ჩადგმულ საქალალდეში ინახება, ყოველ ჯერზე რამდენიმე საქალალდის გახსნა მომაპეზრებელია. თუმცა ამ ფაილის გახსნა მისი ადგილ-მდებარეობის შეუცვლელადაც ადვილად შეიძლება. ამისათვის სამუშაო მაგიდაზე ფაილის იარლიყს (shortcut) ქმნიან და შემდგომში მას იყენებენ.

## საჭიროება

### ფაილის იარლიყის შექმნა

1. იპოვეთ და მონიშნეთ ფაილი შესაბამის საქალალდეში.
2. დააწკაპუნეთ თაგვის მარჯვენა ღილაკზე და გახსნილ კონტექსტურ მენუში აირჩიეთ ბრძანება **Sent to⇒Desktop (Create shortcut)**. სამუშაო მაგიდაზე ფაილის პიქტოგრამა გამოჩენდება. იმაზე, რომ ეს იარლიყია, მიუთითებს ისარი მის მარცხენა ქვედა კუთხეში.



## შევიდოთ და დამუშავდეთ

გახსენით პროგრამა Paint სხვადასხვა მეთოდით. შექმნით პროგრამის იარლიყი სამუშაო მაგიდაზე.

## შეამოცეთ შენი ცოდნა

1. ხშირად სამუშაო მაგიდაზე პროგრამების პიქტოგრამებს კი არა, მათ იარლიყებს ათავსებენ. რატომ?
2. ყურადღებით დაათვალიერეთ კომპიუტერის სამუშაო მაგიდა. რომელი პროგრამების გახსნა შეიძლება უშუალოდ სამუშაო მაგიდიდან?
3. შექმნით სამუშაო მაგიდაზე რომელიმე პროგრამის იარლიყი.

## 6. როდესაც აუცილებელია ნახატის შენახვა



- სად ინახავენ კომპიუტერში შექმნილ ნახატებს?
- რა საჭიროა კომპიუტერში შექმნილი გამოსახულების ქაღალდზე ამობეჭდვა?

კომპიუტერზე მუშაობის პროცესში ყველა შედეგი მის ოპერატიულ მესისიერებაში ინახება. როგორც ცნობილია, ოპერატიული მესისიერება მონაცემების დროებით შესანახი ადგილია. როგორც კი კომპიუტერს ელექტროქსელიდან გამოვრთავთ, ოპერატიული მესისიერებიდან მთელი ინფორმაცია წაიშლება. ამიტომ პროგრამაში შესრულებული სამუშაოს შედეგი მყარ დისტანციაზე ან მესისიერების ნებისმიერ გარე მოწყობილობაზე უნდა გადავიტანოთ. ამასთან, მუშაობის დამთავრებას არ უნდა დაველოდოთ, რადგან ელექტროენერგიის უცაბედად გამორთვის შემთხვევაში ფაილები, რომელთა შექმნაზე ბევრი დრო დავხარჯეთ, შეიძლება დაგვეკარგოს.

### საქმიანობა

#### ფაილების შენახვა გრაფიკულ რედაქტორში

ჩართეთ კომპიუტერი და შეასრულეთ შემდეგი ალგორითმი.

1. გახსენით გრაფიკული რედაქტორი;
2. დახატეთ კომპიუტერის ნებისმიერი მირითადი მოწყობილობა;
3. ფაილის შესანახად აირჩიეთ მენიუს პრმანება File ⇒ Save ან კლავიშების კომბინაცია <Ctrl+S>. გაიხსნება ფანჯარა Save As;
4. გახსენით საქაღალდე My Documents (My Pictures). თუ ნახატის რომელიმე სხვა საქაღალდეში შენახვა გინდათ, მაშინ ფანჯრის ზედა ნაწილში მოცემულ სია Save in-ში აირჩიეთ სასურველი საქაღალდე და გახსენით იგი;
5. დააწვაპუნეთ ველ File name-ზე და შეიყვანეთ სახელი, რომელსაც შესანახულის ფაილს არქმევთ. შეარჩიეთ ისეთი სახელი, რომელიც ნახატის

შინაარსას შეეფერება (მაგალითად, **მონიტორი**). გახსოვდეთ, რომ ფაილის სახელი უნდა შედგებოდეს არა უმეტეს 250 სიმბოლოსაგან, რომელთა შორის არ უნდა იყოს სიმბოლოები: < > ? : " \\* / |;

6. დააწკაპუნეთ ღილაკ **Save-ზე**;
7. დახურეთ პროგრამის ფანჯარა;
8. კომპიუტერის დანარჩენი მოწყობილობების დასახატავად გაიმეორეთ ნაბიჯები 1-7.

ხშირად აუცილებელი ხდება გრაფიკულ რედაქტორში შექმნილი ნახატის ფურცელზე ამობეჭდვა. ამისათვის გამოიყენება პრინტის **Print**.

## საქმიანობა

### ნახატის ამობეჭდვა გრაფიკულ რედაქტორში

1. მიუწოდეთ პრინტერი კომპიუტერს და ჩართეთ იგი.
2. გახსენით ფაილი, რომლის ამობეჭდვა გსურთ.
3. აირჩიეთ პრინტის **File⇒Print**. ამავე მიზნით ასევე შეგიძლიათ, ისარგებლოთ ღილაკების კომბინაცია < **Ctrl + P**> -ით. გაიხსნება ფანჯარა **Print**;
4. თუ რამდენიმე პრინტერი გაქვთ დაყენებული, აირჩიეთ სასურველი პრინტერი განყოფილება **Select Printer-ში**;
5. თუ ნახატის რამდენიმე ასლის ამობეჭდვა გჭირდებათ, ველ **Number of copies**-ში მიუთითოთ ასლების სასურველი რაოდენობა.
6. დააჭირეთ ღილაკ **Print-ს**.



## შევისწავლოთ დამოუკიდებლად


დაადგინეთ, რა ადგილს იკავებს დისკზე თქვენ მიერ შექმნილი ნახატი.

## შეამოცეა შენი ცოდნა

### ჩასვით გამოტოვებული სიტყვები.

გრაფიკულ რედაქტორში შეიძლება ... შექმნა. ოპერაციული სისტემა Windows-ის ყველაზე მარტივი გრაფიკული რედაქტორია პროგრამა.... პრინტის ....-ის გამოყენებით შეიძლება შექმნილი ნახატის შენახვა. ფაილის სახელწოდებაში არ უნდა გმოიყენოთ სიმბოლოები .... ნახატის ქაღალდზე ამოსაბეჭდად სარგებლობენ პრინტება .... ით.

## 7. როგორ გავაუმჯობესოთ ტექსტის გარეგნული სახე



- რისთვისაა გამიზნული ტექსტის ზოგიერთი ნაწილის გამოყოფა?
- რატომ გამოყოფენ ზოგიერთ სიტყვას **მუქი** შრიფტით, ზოგიერთს კი – დახრილით?

იმისათვის, რომ მომხმარებელმა ტექსტიდან ინფორმაცია სწრაფად და იოლად აღიქვას, ხშირად მის გარეგნულ სახეს სხვადასხვანაირი შრიფტის გამოყენებით ცვლიან, მაგალითად, ზოგიერთ სიტყვას და ფრაზას მუქი ან ძირითადი ტექსტისგან განსხვავებული ფერის შრიფტით გამოყოფენ.

### საძირიანოება

#### ტექსტის აკრეფა ტექსტურ რედაქტორში

1. გახსენით ტექსტური რედაქტორი Microsoft Office Word ან Open Office.org Writer;
2. გამოიყენეთ ღილაკი ან მენიუს პრინტა და შექმენით ახალი დოკუმენტი;
3. აკრიფეთ შემდეგი ტექსტი:  
რა არის ღრუბელი  
როდესაც ნოტიო, თბილი ჰაერი ცაში ადის, ნამოიქმნება ღრუბლები. თბილი ჰაერი მაღლა ასვლისას თანდათან გრილდება. ტემპერატურის დაქვეითებისას ჰაერი ველარ იგავებს მთელ ორთქლადებულ ტენს და წყლის წვეთებად ან ყინულის კრისტალებად ქცეული ორთქლი ღრუბელს წარმოქმნის. ღრუბლები სხვადასხვანაირია. ეს დამოკიდებულია სიმაღლეზე, რომელზედაც ისინი წარმოქმნება, და ჰაერის ტემპერატურაზე.
4. დაამატეთ ტექსტის შესაფერისი ნახატი.
5. გამოიყენეთ ღილაკი , და შეინახეთ დოკუმენტი სახელწოდებით „ღრუბელი“.

#### ვიმსჯელოთ:

- როგორ გამოიყურება აკრეფილი ტექსტი?
- რით შეგვიძლია მისი გარეგნული სახის გაუმჯობესება?

ტექსტის ნებისმიერი ფრაგმენტის გაფორმებას და-ფორმატებას უწოდებენ. **დაფორმატებისას** თვით ტექსტს კი არა, მის გარეგნულ სახეს ცვლიან. ამისა-თვის დაფორმატების პანელის ინსტრუმენტებს იყენებენ.

**დაიმახსოვრე**  
შრიფტი  
ქიმებიანი შრიფტი  
სწორი შრიფტი  
პუნქტი  
კურსივი



Word 2007-ის დაფორმატების ინსტრუმენტების პანელი დოკუმენტების ტექსტებში სხვადასხვაგვარ **შრიფტს** იყენებენ. შრიფტი ერთნაირი დიზაინის სიმბოლების ნაკრებია. ერთი და იგივე შრიფტი სხვადასხვა ზომის შეიძლება იყოს. შრიფტის ზომა აღინიშნება პუნქტებში (1 პუნქტი=0,35 მმ). ზოგიერთი ფართოდ გავრცელებულ შრიფტი (მაგალითად, Times New Roman, Courier ან Arial) ავტომატურად იტვირთება თვით სისტემის დაყენების დროს, სხვა შრიფტები კი აუცილებლად დამატებით უნდა დავაყენოთ. სასურველი დიზაინისა და შესაფერისი ზომის შრიფტის ასარჩევად ინსტრუმენტების პანელის შესაბამის ღილაკებს იყენებენ.

**ყველაზე ფართოდ გავრცელებული შრიფტები:**

Times New Roman  
Arial  
Courier  
Comic Sans MS  
Tahoma  
Verdana



**A** ლილაკი შრიფტის ფერის შეცვლის საშუალებას იძლევა. ტექსტის „გალამაზების“ ყველაზე მარტივი მეთოდია ზოგიერთი სიტყვის ან ფრაზის მუქი, ხაზგასმული ან დახრილი შრიფტის გამოყოფა, რისთვისაც ინსტრუმენტების პანელის შესაბამისი ღილაკებით



სარგებლობენ. ამჟამად უამრავი სხვადასხვა სახის შრიფტი არსებობს. თუ ყურადღებით დააკვირდებით ამ გაკვეთილის ტექსტის ასოებს, შეამჩნევთ, რომ ისინი სწორი მოხაზულობისაა, რაც ტექსტის კითხვას აადვილებს. ამიტომ სწორი მოხაზულობის შრიფტებს ტექსტების დიდ მონაკვეთებში იყენებენ. სათაურების დასაწერად კი შეიძლება ქიმებიანი შრიფტების გამოყენება.

**სწორი მოხაზულობის შრიფტი  
ქიმებიანი შრიფტი**

## სამიზანობა

### შრიფტებზე მუშაობა

1. მონიშნეთ ტექსტის სათაური რა არის ღრუბელი;
2. დააწკაპუნეთ პატარა სამკუთხედზე, რომელსაც დაფორმატების ინსტრუმენტების პანელის font-ის არეში ხედავთ. ჩამოშლილი სიიდან აირჩიეთ შრიფტი Acad Nusx geo. მონიშნული სათაური ამ შრიფტით გამოისახება;
3. დააწკაპუნეთ ანალოგიურ სამკუთხედზე დაფორმატების ინსტრუმენტების პანელის Font Size-ის არეში და ჩამოშლილი სიიდან აირჩიეთ სიცხვი 16. შრიფტის ზომა 16 პუნქტი გახდება;
4. დააწკაპუნეთ ღილაკ Bold-ზე. მონიშნული ტექსტი მუქი შრიფტით გამოისახება;
5. დააწკაპუნეთ ღილაკ Undo-ზე. ბოლო ქმედება გაუქმდება;
6. პირველ წინადადებაში მონიშნეთ სიტყვა ღრუბლები;
7. დააწკაპუნეთ სამკუთხედზე Font Color-ის არეში, შემდეგ გახსნილ ფერთა პალიტრაში აირჩიეთ ლურჯი (ან ნებისმიერი სხვა) ფერი. მონიშნული სიტყვა ფერს შეიცვლის;
8. დააწკაპუნეთ ღილაკ Italic-ზე. მონიშნული სიტყვა კურსივით (დახრილი შრიფტით) დაიწერება;
9. დოკუმენტის შესანახად დააწკაპუნეთ ღილაკ -ზე.

ერთსა და იმავე ტექსტში სამზე მეტი შრიფტი არ გამოიყენება. შრიფტების მრავალფეროვნება მკითხველს ყურადღებას უფანტავს და შინაარსის აღქმაში უშლის ხელს.

## შევისწავლოთ დამოუკიდებლად

მოიფიქრეთ, როგორ დააფორმატებთ შემდეგ წინადადებებს:


მორი გრძა მოდარე და შინ მშვიდობით მოდი.

მორი გზა მოდარე და შინ მშვიდობით მოდი.

## შეამოცი შენი ცოდნა

1. რა არის შრიფტი?
2. რომელი შრიფტია ქიმებიანი რუსიკა „შევისწავლოთ დამოუკიდებლად“-ში გამოყენებული შრიფტებიდან?
3. რას ნიშნავს ტექსტის დაფორმატება?
4. რომელი შრიფტითაა დაბეჭდილი თემის სათაურები ამ სახელმძღვანელოში?

## 8. აპზაცის დაფორმაციება



- რით განსხვავდება ერთმანეთისგან ეს განცხადებები?
- რომელი მოსწავლის განცხადება გამოიყურება უფრო უკეთესად?

### საქმიანობა

#### როგორ განვათავსოთ ტექსტი ფურცელზე აკურატულად?

მოამზადეთ დუკუმენტი ტექსტურ რედაქტორში მოცემული ნიმუშის მიხედვით. შეინახეთ იგი კომპიუტერში შემდეგი სატაურით: „კომპიუტერის ძირითადი მოწყობილობანი“.

#### სისტემური ბლოკი

სისტემური ბლოკი მაგიდის კომპიუტერის ყველაზე მთავარი შემადგენელი ნაწილია. მასში მოთავსებულია კომპიუტერის ბევრი მოწყობილობა, მათ შორის, პროცესორი და მეხსიერება. ყველა გარე მოწყობილობა სისტემურ ბლოკს სადენებით უერთდება.

#### მონიტორი

მონიტორი არის მოწყობილობა, რომლის დანიშნულებაა კომპიუტერის გამოსახულების ჩვენება.

#### კლავიატურა

ინფორმაციის უმეტესი ნაწილი კომპიუტერი კლავიატურის დახმარებით შეაქვთ. კლავიატურაზე ბევრი კლავიშა.

#### თაგვი

ეს არის კომპიუტერში ბრძანებების შეყვანისთვის განკუთვნილი მოწყობილობა. ჩვეულებრივ, მას აქვს ორი ღილაკი და ერთი პატარა მბრუნავი ბორბალი. როცა თაგვს ამოძრავებენ, მისი მაჩვენებელი ეკრანზე მდებარეობას იცვლის..

#### კიმსჯელოთ:

- დაფორმატების რომელი ინსტრუმენტები გამოიყენეთ?
- როგორ შეძელით სატაურის სტრიქონის ცენტრში მოთავსება?

## დაფასსოვე

დაფორმატების დროს შრიფტის არჩევასთან ერთად ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, თუ როგორ განლაგდება ტექსტის ნაწილები ფურცელზე. შესაძლებელია როგორც მთელი ტექსტის, ისე მისი ცალკეული ფრაგმენტის (აბზაცის, წინადადების, სიტყვის) დაფორმატება.

აბზაცის დაფორმატებისას ისეთ ქმედებებს ასრულებენ, როგორებიცაა: გასწორება ფურცლის კიდეების მიმართ, სტრიქონთშორისი ინტერვალის დაყენება. ტექსტურ რედაქტორში აბზაცის შესაქმნელად თითო ლილაკ **<Enter>**-ს უნდა დავაჭიროთ.

ჩვეულებრივ, ტექსტურ რედაქტორში აბზაცი შეიძლება გასწორდეს ფურცლის მარცხენა ან მარჯვენა კიდის მიმართ, ცენტრში და სიგანეში.

მარცხენა კიდის მიმართ გასასწორებლად გამოიყენება კლავიშების კომბინაცია **<Ctrl+L>** ან ლილაკი .

მარჯვენა კიდის მიმართ გასასწორებლად გამოიყენება კლავიშების კომბინაცია **<Ctrl+R>** ან ლილაკი .


ცენტრში გასასწორებლად გამოიყენება კლავიშების კომბინაცია **<Ctrl+E>** ან ლილაკი .

სიგანეში გასასწორებლად გამოიყენება კლავიშების კომბინაცია **<Ctrl+J>** ან ლილაკი .

გასწორება მარცხენა კიდის მიმართ	გასწორება მარჯვენა კიდის მიმართ
მეცნიერება ოკეანეს ჰეგავს. იგი ერთნაირად ლიაა როგორ ადამიანის, ისე თევზსაჭერი გემის მიმართ. ზოგი მასში ძვირფას ტვირთთან ერთად ცურავს, ზოგი კი რაც შეიძლება მეტი თევზის დაჭერაზე ოცნებობს.	მეცნიერება ოკეანეს ჰეგავს. იგი ერთნაირად ლიაა როგორ ადამიანის, ისე თევზსაჭერი გემის მიმართ. ზოგი მასში ძვირფას ტვირთთან ერთად ცურავს, ზოგი კი რაც შეიძლება მეტი თევზის დაჭერაზე ოცნებობს.

გასწორება ცენტრის მიმართ	გასწორება სიგანეში
მეცნიერება ოკეანეს ჰეგავს. იგი ერთნაირად ლიაა როგორ ადამიანის, ისე თევზსაჭერი გემის მიმართ. ზოგი მასში ძვირფას ტვირთთან ერთად ცურავს, ზოგი კი რაც შეიძლება მეტი თევზის დაჭერაზე ოცნებობს.	მეცნიერება ოკეანეს ჰეგავს. იგი ერთნაირად ლიაა როგორ ადამიანის, ისე თევზსაჭერი გემის მიმართ. ზოგი მასში ძვირფას ტვირთთან ერთად ცურავს, ზოგი კი რაც შეიძლება მეტი თევზის დაჭერაზე ოცნებობს.

ზოგჯერ საჭირო ხდება სტრიქონთაშორისი ინტერვალის გაზრდა ან შემცირება. ინტერვალის შეცვლის უმარტივესი საშუალებაა დაფორტამების ინსტრუმენტების პანელის ღილაკ  Line Spacing-ის გამოყენება. ღილაკთან არსებულ სამკუთხედზე დაწკაპუნებით ჩამოშლილი სიიდან სასურველი სტრიქონთაშორისი ინტერვალის არჩევა შეიძლება.




## შევისწოდოთ დამოუკიდებლად

ტექსტურ რედაქტორში დაწერეთ განცხადება „ინფორმატიკის“ წრეში ჩარიცხვის თაობაზე და დააფორმატეთ იგი.

## შეამოციო შენი ცოდნა

1. რა არის აბზაცი და რას ნიშნავს მისი დაფორმატება?
2. აბზაცის გასწორების რომელი მეთოდია გამოყენებული ტექსტის დაფორმატებისას რუბრიკა „საქმიანობაში“?
3. ჩვეულებრივ, როგორ ასწორებენ ლექსებს ლიტერატურის სახელმძღვანელოში?
4. ტექსტის გვერდის  $\frac{3}{4}$  ნაწილი უკავია. როგორ დავაფორმატოთ იგი შრიფტის ზომის შეუცვლელად, რომ ტექსტი მთელი გვერდი შეავსოს?

## 9. ელექტრონული პრეზენტაციები



- როგორ ხსნიან მასწავლებლები გაკვეთილს?
- რა თვალსაჩინოებებს იყენებენ ისინი ამ დროს?

### საჭიროება

#### ინფორმაციის დაჯგუფება და პრეზენტაციის გეგმის შედგენა

1. აირჩიეთ რაიმე თემა. შეკრიბეთ ამ თემაზე ინფორმაცია.  
შეარჩიეთ პრეზენტაციისთვის შესაფერისი სახელი.
2. გაეცანით შეკრებილი მასალას. დააჯგუფეთ ურთიერთდაკავშირებული ინფორმაცია და შეადგინეთ ძირითადი ამოცანების სია.
3. მიუთითეთ თქვენ მიერ გამოყენებული ნახატების, ტექსტებისა და სხვა ინფორმაციის წყაროები.

თქვენი გამოსვლის გეგმა დაახლოებით ამგვარი იქნება:

**დედამინა** ← პრეზენტაციის სათაური

1. ობიექტების გეოგრაფიული მდგრადრიცხვა დედამინაზე
2. დედამინის შედაპირის გეოგრაფიული ობიექტები
3. დედამინის შინაგანი აგებულება

1. ობიექტების გეოგრაფიული მდგრადრიცხვა დედამინაზე

- უკატორი
- მერიდანი
- პრალელი
- გეოგრაფიული სარტყელი

2. დედამინის ზოდაპირის გეოგრაფიული ობიექტები

- მთები
- ტყეები
- მდინარეები
- ზღვები

3. დედამინის შინაგანი აგებულება

- ძირითი
- მატრია
- დედამინის გარსი

გამოყენებული წყაროები

#### ვიმსჯელოთ:

- კიდევ რა საკითხების განხილვას ისურვებდით გამოსვლაში?
- განსაზღვრეთ, რამდენ გვერდზე დაეტევა თქვენი გამოსვლა.

კონფერენციაზე გამოსვლის, ახალი მასალის წარმოდგენის ან გაკვეთილის ახსნის დროს თვალსაჩინოებებს იყენებენ. წინათ ამ მიზნით პლაკატებით სარგებლობდნენ. შემდეგ გაჩნდა სლაიდპროექტორები. უკანასკნელ სანებში კი მათი ადგილი კომპიუტერულმა პრეზენტაციებმა დაიკავა.

### დაიგაცვლი

პრეზენტაცია  
სლაიდი  
პროექტორი  
დინამიკები


**პრეზენტაცია (presentation)** თქვენთვის ბავშვობიდან ცნობილ, სლაიდებისგან შედგენილ ფილმს ჰგავს. შემთხვევითი არ არის, რომ ელექტრონული პრეზენტაციის თითოეულ გვერდს სლაიდი ეწოდება. ყოველი პრეზენტაცია რამდენიმე სლაიდისგან შედგება. ჩვეულებრივ, თითო სლაიდი თითო თემას ეძღვნება. სლაიდზე შესაძლებელია ტექსტის, გრაფიკული ელემენტებისა და სხვა ინფორმაციის განთავსება.

რომელ პროგრამაშია მოსახერხებელი ელექტრონული პრეზენტაციის შექმნა? ტექსტურ რედაქტორში, ტექსტის გარდა, გრაფიკასა და ვიდეონფრმაციაზეც შეიძლება მუშაობა, მაგრამ პრეზენტაციის მოსამზადებლად და სადემონსტრაციოდ სპეციალური პროგრამები არსებობს. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია OpenOffice Impress და Microsoft Power-Point. საკმარისია, ამ პროგრამებიდან ერთ-ერთში მუშაობა აითვისოთ, რომ სხვა პროგრამებსაც ადვილად აუდებთ ალლოს.

პროგრამა OpenOffice Impress-ის (ან Microsoft Power-Point-ის) ჩართვისას იხსნება შემდეგი ფანჯარა:



ღილაკ Create-ზე დაწყაპუნებით გაიხსნება პროგრამის ძირითადი ფანჯარა. იგი სამი ნაწილისგან – სლაიდების პანელის (Slides pane), სამუშაო არისა (Workspace) და ამოცანათა პანელისგან (Tasks pane) – შედგება. გარდა ამისა, ფანჯარაში შეიძლება იყოს ინსტრუმენტების სხვადასხვა პანელიც.



სლაიდების პანელზე პრეზენტაციის სლაიდების შემცირებულ გამოსახულებებს დაინახავთ. შესაძლებელია სლაიდების თანამიმდევრობის შეცვლა. სლაიდზე დაწკაპუნების, ანუ მისი მონიშვნის, შემდეგ ის სამუშაო არეში გამოისახება. ახლა უკვე შეიძლება მასში ცვლილებების შეტანა.

პრეზენტაციის დროს, ჩვეულებრივ, პროექტორსა და დინამიკებს იყენებენ. პროექტორს ინფორმაცია ნებისმიერი წყაროდან – კომპიუტერიდან, ვიდეომაგნოტოფონიდან, ციფრული კამერიდან, DVD-პლეიერიდან – დიდ ეკრანზე გამოაქვს.

**დინამიკები** ხმოვანი ინფორმაციის გამოტანისთვის გამოიყენება.



პროექტორი



დინამიკები

## შევისწავლოთ დამოუკიდებლად


ჩართეთ პროგრამები Microsoft PowerPoint და OpenOffice Impress. შეადარეთ ერთმანეთს ამ პროგრამების ძირითადი ფანჯრები.

## შეამოვით შევიცოდეთ

აირჩიეთ ერთ-ერთი ამ თემებიდან: „სპორტი“, „სამშობლო“, „გეომეტრიული ფიგურები“. მოიძიეთ არჩეულ თემასთან დაკავშირებული ინფორმაცია და შეადგინეთ მომავალი პრეზენტაციის გეგმა.

## 10. სლაიდებზე მუშაობა


წინა გაკვეთილზე თქვენ შეიმუშავეთ პრეზენტაციის გეგმა თემაზე „დედამიწა“. ახლა ამ გეგმის მიხედვით პრეზენტაცია უნდა მოვამზადოთ. გეგმის ყოველ ნაწილს ცალკე სლაიდი დაეთმობა. პრეზენტაცია რაც შეიძლება საინტერესო რომ გამოვიდეს, თითოეული სლაიდისთვის მასზე მოთავსებული ინფორმაციის შესაბამისი მაკეტი უნდა მევარჩიოთ. რა არის მაკეტი და რა სახის მზა მაკეტებია მოცემული საპრეზენტაციო პროგრამებში?





ძირითადი ფანჯრის მარჯვენა ნაწილში ამოცანათა პანელი (Tasks pane) გამოგვაქვს. ეს პანელი რამდენიმე ჩანართს შეიცავს. ერთ-ერთი მათგანია პანელი **Layouts** (მაკეტები). კომპიუტერულ პრეზენტაციებში სლაიდის **მაკეტი** განსაზღვრავს, როგორ განთავსდება მასზე სხვადასხვა ობიექტი: სათაური, ტექსტი, სია, ნახატები, დიაგრამები. ეს ელემენტები ერთმანეთის მიმართ სხვადასხვანაირად შეგვიძლია განვალაგოთ. **Panel Layouts**-ში მაკეტის სხვადასხვა ვარიანტია შემოთავაზებული. შესაძლებელია სლაიდის შინაარსის შესატყვისი ვარიანტის შერჩევა.

### საქმიანობა

1. გახსენით პრეზენტაციის შესაქმნელი პროგრამა და შექმნით ახალი პრეზენტაცია.
2. აირჩიეთ მაკეტი **Title Slide** (სატიტულო სლაიდი). სამუშაო არეში გამოისახება პირველი სლაიდის მაკეტი. ამ მაკეტზე ორი ტექსტური ველია. ტექსტურ ველში ტექსტის შეყვანის შემდეგ ის ტექსტურ ობიექტად იქცევა.



3. დააწერეთ ველ Click to add title-ზე. ამ ველის ირგვლივ წყვეტილი ჩარჩოა, რაც ტექსტის შეყვანის შესაძლებლობაზე მიგვანიშნებს. ველში ჩაწერილი ტექსტი გაქრება. მის ნაცვლად გამოჩნდება კურსორი.
  4. დაწერეთ სიტყვა **დედამიწა**. დაიმახსოვრეთ: სათაურსა და სის ელე-მენტებს ბოლოში წერტილი არ სჭირდება.
  5. დააწერეთ ველ Click to add text-ზე.
  6. დაწერეთ თქვენი სახელი და გვარი (მაგალითად, **თორლულ ჰასანლი**) და მომდევნო გვერდზე გადასასვლელად დააჭირეთ კლავიშ **<enter>**-ს. შემდეგ გვერდზე შეიყვანეთ ინფორმაცია თქვენ შესახებ (მაგალითად, **ქალაქ შექის 1-ლი საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე**).
  7. დააწერეთ ინსტრუმენტების პანელის ღი-ლაკ ზე ან აირჩიეთ ბრძანება **Insert⇒New Slide**. პრეზენტაციას დაემატება ახალი სლაიდი და მასზე ავტომატურად გამოისახება წინა სლაიდის მაკეტი. ახალი სლაიდი, ჩვეულებრივ, აქტიური (მონიშნული) სლაიდის შემდეგ გა-მოჩნდება. სლაიდების თანამიმდევრობის შეც-ვლა ნებისმიერ დროს შეიძლება.
- 
8. შეარჩიეთ შესაფერისი მაკეტი ახალი სლაიდისთვის (Title, Text).
  9. დააწერეთ ველ Click to add title-ზე და და-ნერეთ: **ობიექტების გეოგრაფიული მდებარეობა დედამიწაზე**.
  10. დააწერეთ ველ Click to add at outline-ზე.
  11. დაწერეთ **ეკვატორი** და დააჭირეთ კლავიშ **<Enter>**-ს. გამოჩნდება სის პირველი პუნქტი. ზუსტად ასევე შეიყვანეთ პუნქტი **მერიდიანი, პარალელი, გეოგრაფიული პოლუსები**.
  12. შექმნით ახალი სლაიდი და აირჩიეთ მისთვის მაკეტი Title, Text, Clipart.
  13. ველ Click to add Title-ში ჩაწერეთ **დედამიწის ზედაპირის გეოგრაფიული ობიექტები**:
  14. ველ Click to add at outline-ში შეიყვანეთ სია: **მთები, ტყეები, მდინარეები, ზღვები**.
  15. ორჯერ დააწერეთ ველ Double-click to add graphics-ის პიქტოგრამაზე. გახსნილ ფანჯარაში იპოვეთ თემის შესაფერისი სურათი და ორჯერ დააწერეთ ღილაკ **Open**-ზე. არჩეული სურათი სლაიდს დაემატება.
  16. დაამატეთ კიდევ ერთი სლაიდი და შეავსეთ იგი თქვენი გეგმის მიხედვით.
  17. პრეზენტაციის ფაილის შესანახად აირჩიეთ ბრძანება **File ⇒ Save As**. გახსნილ ფანჯარაში მიუთითეთ ფაილის სახელი (მაგალითად, **დედა-მიწა ან Earth**) და ადგილი, სადაც მის შენახვას აპირებთ.
  18. დაწურეთ პროგრამა.



სამუშაოს დასრულების შემდეგ შეიძლება პრეზენტაციის ეკრანზე ჩვენება.

## საქმიანობა

**პრეზენტაციის დემონსტრაცია:**

1. პრეზენტაციის სადემონსტრაციოდ დააწყაპუნეთ ინსტრუმენტების პანელის ღილაკ  -ზე. ამავე მიზნით შეიძლება კლავიშ F5-ის ან ბრძანება Slide Show ⇌ Slide Show-ის გამოყენება. გაიხსნება პირველი სლაიდი.
2. შემდეგ სლაიდზე გადასასვლელად დააჭირეთ კლავიშ <Spacebar>-ს (ჰარი). ამის ნაცვლად შეიძლება თაგვით დაწყაპუნებაც. ყოველ მოძევნო სლაიდზე გადასასვლელად ან წინასთან დასაბრუნებლად უფრო მოსახერხებელია ისრებიანი კლავიშების გამოყენება.
3. პრეზენტაციის დემონსტრაციის შესაჩერებლად ნებისმიერ მომენტში შეგიძლიათ გამოიყენოთ კლავიში <Esc>.

პრეზენტაციის მომზადებისას დიდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის წარმოდგენის საშუალებას. ამიტომ ამ დროს მიზანშეწონილია ზოგიერთი დეტალის გათვალისწინება.

- ყოველ სლაიდს უნდა ჰქონდეს სათაური.
- სლაიდზე განთავსებული სია არ უნდა შეიცავდეს 5-ზე მეტ პუნქტს.
- წერეთ მოკლე წინადადებებით. ხაზი გაუსვით ყველაზე მნიშვნელოვან მომენტებს.
- სლაიდების რაოდენობა განსაზღვრეთ პრეზენტაციისთვის გამოყოფილი დროის შესაბამისად.
- ბოლო სლაიდზე მიუთითეთ გამოყენებული წყაროები.

## შეიძლება დამოუკიდებლად

მოამზადეთ 3-5 სლაიდისგან შემდგარი პრეზენტაცია თქვენი საყვარელი წიგნის შესახებ. შეეცადეთ, პრეზენტაციაში გამოიყენოთ ნახატები, სიები.

## შეამოცე შეიცოდე


ჩასვით გამოტოვებული სიტყვები.

ახალი სლაიდის შესაქმნელად საჭიროა მენიუ Insert-ში ... პუნქტის არჩევა. სლაიდზე სხვადასხვა ელემენტის განთავსებამდე აუცილებელია მისი ..... არჩევა. პანელი Layouts მოთავსებულია პროგრამის ფანჯრის ... მხარეს. პრეზენტაციის სადემონსტრაციოდ უნდა დავაჭიროთ კლავიშ ....-ს.

## 11. ობიექტის ინფორმაციული მოდელი

ტექსტური რედაქტორის მეშვეობით ნებისმიერი ობიექტის აღწერა შეიძლება. თუ აკრეფილ ტექსტში ობიექტის ძირითად ნიშნებს მივუთითებთ, ეს ტექსტი ობიექტის ინფორმაციულ მოდელად ჩაითვლება. გრაფიკულ რედაქტორში შექმნილი ობიექტის ნახატიც მისი ინფორმაციული მოდელია. ინფორმაციული მოდელი სქემებითა და ცხრილებითაც იქმნება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ობიექტის აღსაწერად სხვადასხვა ინფორმაციულ მოდელს – ტექსტს, ნახატს, ცხრილს, სქემას – იყენებენ.

როგორც უკვე იცით, კომპიუტერულ პრეზენტაციებში ინფორმაციის წარმოდგენა სხვადასხვანაირად შეიძლება. ამიტომ ამგვარი პროგრამები ობიექტის ინფორმაციული მოდელის საუკეთესო სადემონსტრაციო საშუალებად ითვლება.



- დედამინის ინფორმაციული მოდელის რა სახეებია წარმოდგენილი სლაიდებზე?
- რომელ სლაიდზე შეცვლიდით ინფორმაციულ მოდელს მისი სხვა სახეობით?

### საქმიანობა

#### პრეზენტაცია „მაგიდის კომპიუტერის“ მომზაობა

მოამზადეთ პრეზენტაცია თემაზე „მაგიდის კომპიუტერი“. ამისათვის გამოიყენეთ თქვენ მიერ შექმნილი ნახატები და აკრეფილი ტექსტები. ყოველ სლაიდს შეურჩიეთ შესაფერისი მაკეტი.

№	მაკეტი	სლაიდი
1	სატიტულო სლაიდი	მაგიდის კომპიუტერი

№	მაკეტი	სლაიდი
2		<p>მაგიდის კომპიუტერის ძირითადი მოწყობილობები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სისტემური სლიუს</li> <li>• მონიტორი</li> <li>• კლავიატურა</li> <li>• თავა</li> </ul>
3		<p>სისტემური ბლოკი</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კომპიუტერის ძირითადი მოწყობილობა, მასში მოინახული სისტემური ბლოკები და მისამართებული მას მოწყობილობა</li> <li>• კომპიუტერის ძირითადი მოწყობილობა და მისამართებული მას მოწყობილობა</li> </ul>
4		<p>მონიტორი</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოწყობილობა ერთ-ერთი ღილაკი ინტერფეისის გამოსახულების მიზანით</li> <li>• მონიტორი კომპიუტერის გამოსახულების მიზანით</li> </ul>
5		<p>კლავიატურა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კლავიატურის დამზადების ჭრის უკეთესი მიზანით</li> <li>• კლავიატურის ჭრის უკეთესი</li> </ul>
6		<p>მაუსი</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მასიურატური, თავი უძრავი მოწყობილობა მისამართებული კომპიუტერის უძრავი მისამართებული</li> </ul>

### ვიმსჯელოთ:

- რომელი შრიფტი გამოიყენეთ სლაიდების სათაურების დასაწერად?
- როგორ ჩასვით ტექსტი და ნახატები სლაიდში?

## შეამოცო შენიშვნა

შეარჩიეთ რაიმე თემა თქვენს საყვარელ საგანში. მოიძიეთ შესაბამისი ინფორმაცია ინტერნეტში. მოამზადეთ 4-5 სლაიდისგან შემდგარი პრეზენტაცია. სლაიდებში გამოიყენეთ სხვადასხვა ინფორმაციული მოდელი.

## შემაჯამებელი დავალებები

უპასუხეთ კითხვებს.

1. როგორ იხსნება კომპიუტერული პროგრამები?
2. რა დანიშნულება აქვს სწრაფი გახსნის პანელს?
3. როგორ შევინახოთ კომპიუტერის მეხსიერებაში გრაფიკულ რედაქტორში შექმნილი ნახატი?
4. დაადგინეთ შესაბამისობა კლავიშებსა და დაფორმატების პანელზე მოცემულ შრიფტის მოხაზულობას შორის.

**I** მუქი

**II** დახრილი (კურსივი)

**B** საზღასმული

5. როგორაა გასწორებული მოცემული ტექსტები?

სამედ ვურძუნი – აზერბაიჯანელი პოეტი, დრამატურგი და საზოგადო მოღვაწე, დაიბადა აზერბაიჯანის ყაზახის რაიონში. ის აზერბაიჯანის პირველი სახალხო პოეტია.

ზღვაო, ალელდი, ალელდი,  
ქარტეხილს დაემორჩილე,  
აამთაგორე ტალღები,  
კიდევს გადააცილე!  
მარგალიტების სალარო  
შენი უფსკრული გულია,  
მყუდროების დროს ის განძი  
ქვეყნისთვის დაფარულია.

6. შეადარეთ ერთმანეთს ეს ორი ტექსტი. როგორაა შეცვლილი მეორე ტექსტი?

ახალი წლის ისტორია

ამ დღესასწაულის ისტორია თითქმის 25 საუკუნეს ითვლის. წლის შეცვლის საზეიმო აღნიშვნის ტრადიცია პირველად მესოპოტამიაში აღმოცენდა. ისტორიკოსების აზრით, სწორედ ამ ქვეყანაში აღნიშნეს პირველად ზეიმით ახალი წლის დადგომა.

### ახალი წლის ისტორია

ამ დღესასწაულის ისტორია თითქმის 25 საუკუნეს ითვლის. წლის შეცვლის საზეიმო აღნიშვნის ტრადიცია პირველად მესოპოტამიაში აღმოცენდა. ისტორიკოსების აზრით, სწორედ ამ ქვეყანაში აღნიშნეს პირველად ზეიმით ახალი წლის დადგომა.

7. გადააკეთეთ მცდარი გამონათევამები ჭეშმარიტებად.


- სლაიდზე მხოლოს ნახატის განთავსება შეიძლება.
- სლაიდებზე ობიექტის სხვადასხვა ინფორმაციული მოდელის განთავსება შეიძლება.
- პრეზენტაციის სადემონსტრაციოდ შესაძლებელია კლავიშ F1-ის გამოყენება.
- ელექტრონული პრეზენტაცია კომპიუტერში იქმნება.

# ალგორითმი

გვ. 41-54

3

- > 12. ალგორითმის თვისებები
- > 13. ალგორითმის სახეები
- > 14. ციკლური ალგორითმები
- > 15. სახალისო ამოცანები




## 12. ალგორითმის თვისებები

მოსწავლემ მაღაზიაში 7 რვეული და 6 ავტოკალამი უნდა იყიდოს. რვეული 30 გეპიკი ლირს, ავტოკალამი კი – 15 გეპიკი. საერთო თანხის რა პროცენტს დახარჯავს მოსწავლე რვეულების საყიდლად?

ამ მარტივი მათე-  
მატიკური ამოცანის  
ამოსახსნელად მო-  
ცემულია ორგვარი  
მითითება.

7 რვეული  
6 ავტოკალამი



1. გამოვთვალოთ რვეულებისა და ავტოკალმების ლირებულება.
2. ვიპოვოთ მათი საერთო ლირებულება.
3. განვსაზღვროთ, საერთო ლირებულების რამდენ პროცენტს შეადგენს რვეულების ლირებულება.

1. გავამრავლოთ ერთი რვეულის ლირებულება მათ რაოდენობაზე.
2. გავამრავლოთ ერთი ავტოკალმის ლირებულება მათ რაოდენობაზე.
3. შევკრიბოთ მიღებული რიცხვები.
4. პირველი ნაბიჯის შედეგი გავყოთ მესამე ნაბიჯის შედეგზე და გავამრავლოთ 100-ზე.

- ამ ვარიანტებიდან რომელი უფრო გეადვილებათ?
- ამ ვარიანტებიდან რომელშია მოცემული მითითებები უფრო მკაფიოდ, ნათლად და კონკრეტულად?

### საქმიანობა


#### ბუტერბროდის მომზადება

საჭირო მასალა: პური და პროდუქტები შიგთავსისათვის.

შედეგი: ბუტერბროდი.

შეამონეთ თითოეული ნაბიჯის სიზუსტე, სიცხადე-და ერთმნიშვნელოვნება.

1. მოგზრათ პროდუქტის ნაჭერი შიგთავსისათვის;



2. მოვჭრათ ორი ნაჭერი პური;
3. პროდუქტის ნაჭერი მოვათავსოთ პურის ნაჭრებს შორის.

**ვიმსჯელოთ:**

- რომელი პროდუქტი შეიძლება გამოვიყენოთ ბუტერბროდის შიგთავსისთვის?
- შეიძლება თუ არა, ქმედებათა ამ თანამიმდევრობას ალგორითმი ვუწოდოთ?

ალგორითმის ცნებას თქვენ უმცროს კლასებში გაეცანით. ქმედებათა ზუსტ და სასრულ თანამიმდევრობას, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს დასახული მიზნის მიღწევას, **ალგორითმი ეწოდება**.

ქმედებათა ნებისმიერ თანამიმდევრობის ალგორითმად ვერ ჩავთვლით. იმისათვის, რომ ქმედებათა კონკრეტულ თანამიმდევრობას ალგორითმი ვუწოდოთ, მას გარკვეული თვისებები უნდა ჰქონდეს.

ალგორითმის ყოველი ნაბიჯი მკაფიო, ნათელი და ერთმნიშვნელოვანი უნდა იყოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყველა შემსრულებელს, გამონაკლისის გარეშე, მითითებები ერთნაირად უნდა ესმოდეს. ამ თვისებას **განსაზღვრულობა ჰქონდება**.

ამოცანის ამოხსნის ალგორითმი საერთო უნდა იყოს გარკვეული კლასის ყველა ამოცანისათვის, რომლებიც ერთმანეთისგან მხოლოდ საწყისი მონაცემებით განსხვავდება. მაგალითად, ზემოთ მოყვანილ მაგალითში პური შეიძლება თეთრიც იყოს და შავიც. შიგთავსისთვის საჭირო პროდუქტი ძეხვი, ყველი ან კარაქი იქნება. ალგორითმის ამ თვისებას **უნივერსალობა ეწოდება**.

ნაბიჯების ბოლომდე შესრულების შედეგად ალგორითმი უნდა უზრუნველყოფდეს ამოცანის ამოხსნას. მაგალითად, ზემოთ მოყვანილ მაგალითში ყველა მითითების შესრულების შემდეგ მოსალოდნელი შედეგი – ბუტერბროდი – მიიღება. ალგორითმის ამ თვისებას **შედეგიანობა უწოდებენ**.

ალგორითმს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თვისება – **დისკრეტულობა** (წყვეტილობა) – უნდა ჰქონდეს, ანუ ის უნდა იყოს ამოცანის ამოხსნის პროცესი ფალკეული მარტივი ნაბიჯების თანამიმდევრობით გადადგმის გზით. ეს თვისება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ალგორითმის კომპიუტერში შესრულების დროს.

განსაზღვრულობა

შედეგიანობა

ალგორითმის თვისებები

უნივერსალობა

დისკრეტულობა

## შევისცავლოთ დამოუკიდებლად

ქვემოთ მოცემულია პიტნის შარბათის მომზადების რეცეპტი. განსაზღვრეთ, აქვს თუ არა მას ალგო-რითმის ყველა თვისება.

### პიტნის შარბათის მომზადების რეცეპტი

შედგენილობა: შაქარი – 30 გ, პიტნის თესლი – 0,4 გ ან ქორფა პიტნა – 15 გ, წყალი – 105 გ, ყინული – 50 გ. პიტნის თესლისგან სიროფის მოსამზადებლად საჭიროა ჯერ მისი ნაყენის დაყენება ადუდებულ წყალში 3-4 საათით გაჩერების შედეგად და შემდეგ შაქრის დამატება. ამის მერე ნაყენი უნდა გაიფილტროს და გაცივდეს. პიტნის ქორფა ფოთლებისგან სიროფი იმავე ნესით მზადდება, ოლონდ ამ შემთხვევაში ფოთლები წვრილად უნდა დავჭრათ და მდუღარე წყალი დავასხათ.



## შევისცავლი შენი ცოდნა

1. შეიძლება თუ არა, ქვემოთ მოცემულ მითითებებს ალგორითმი ვუწოდოთ?

ჩვეულებრივი წილადების გაყოფის წესები

1. პირველი წილადის მრიცხველი გაამრავლეთ მეორე წილადის მნიშვნელზე.
2. პირველი წილადის მნიშვნელი გაამრავლეთ მეორე წილადის მრიცხველზე.
3. შეადგინეთ ახალი წილადი, რისთვისაც პირველი ნაბიჯის შედეგი დანერეთ მის მრიცხველში, ხოლო მეორე ნაბიჯის შედეგი – მნიშვნელში.

სიტყვის ფონეტიკური გარჩევას სქემა


1. სიტყვის ორთოგრაფიული ჩანაწერის წარმოდგენა;
2. სიტყვის მარცვლებად დაყოფა მახვილის მითითებით;
3. სიტყვის ფონეტიკური ტრანსკრიპციის წარმოდგენა;
4. თითოეული ბგერის თანამიმდევრობით დახასიათება.

2. შეასრულეთ ზემოთ მოცემული მითითებები შესაბამისი მონაცემებისათვის.

ა) გამოიანგარიშეთ:  $\frac{3}{7} : \frac{9}{14}$ ;

ბ) გაარჩიეთ ფონეტიკურად სიტყვა „მეგობრები“.

### 13. ალგორითმის სახეობი



- რით განსხვავდება ეს სარბენი ბილიკები ერთმანეთისგან?
- რამდენჯერ უნდა შემოურბინონ მეგობრებმა 400 მ-ის სიგრძის წრიულ სარბენ ბილიკს, რომ 1000 მეტრი მანძილი დაფარონ?

#### საქმიანობა

ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი და აღადგინეთ ალგორითმში გამოტოვებული სიტყვები.

ვინი-პუჟმა გადაწყვიტა, სტუმრად სწვეოდა თავის მეგობარ ბაჭიას. კარგად იცოდა, რომ ბაჭიას სახლში ყოველთვის ჰქონდა შემონახული შესქელებული რძე, ხანდახან კი – თაფლიც, ამიტომ ფიქრობდა, რამე გემრიელს მაინც მაჭმეული. ვინი-პუჟს თაფლი ერჩივნა, მაგრამ თუ თაფლი არ იქნებოდა, შესქელებულ რძეზეც თანახმა იყო.




გზად ვინიმ თავისი მოქმედების გეგმა შეადგინა:

1. ბაჭიასთან სახლში მივალ;
2. მივესალმები და შიგნით შევალ;
3. შევეკითხები ბაჭიას, აქვს თუ არა სახლში...;
4. თუ ... აქვს, ვთხოვ მომიტანოს.... თუ არა და, მაშინ მომიტანოს .... ;
5. მადლობას გადავუხდი ბაჭიას გამასპინძლებისთვის.

#### ვიმსჯელოთ:

- რომელი სიტყვები ჩასვით გამოტოვებულ ადგილებზე?
- თუ ვინი ამ ალგორითმით იმოქმედებს, ყოველთვის ჩაიტკბარუნებს პირს თაფლით?

ცნობილია, რომ ალგორითმი ქმედებათა განსაზღვრული თანამიმდევრობისგან შედგება. ეს ქმედებანი უეჭველად იმ თანამიმდევრობით უნდა შესრულდეს, როგორც არის ჩანერილი. შესასრულებელი ნაბიჯების თანამიმდევრობის მიხედვით არჩევენ სამი სახის ალგორითმს:




თუ ალგორითმში ყველა ქმედება მკაცრი თანამიმდევრობით სრულდება, მას წრფივი ალგორითმი ეწოდება.

თუ ალგორითმში ამა თუ იმ ქმედების განხორციელება გარკვეული პირობის შესრულება-შეუსრულებლობაზეა დამოკიდებული, მას განშტოებული ალგორითმს უწოდებენ.

ზოგიერთ ალგორითმში მრავალჯერ განმეორებადი მოქმედებები შედის. ქმედებათა ამგვარ თანამიმდევრობას ციკლი ჰქვია, ალგორითმს კი, რომელიც ციკლს შეიცავს – ციკლური ალგორითმი.


პრაქტიკაში წრფივი ალგორითმები, ანუ ისეთები, რომლებშიც ყოველი ქმედება წინასწარაა ცნობილი, იშვიათად გვხვდება. ძალიან ხმირად ქმედებები სიტუაციის მიხედვით ხორციელდება. მაგალითად, ალგორითმში „ვინი-პუპი სტუმრად“ ვინის სურვილის განხორციელება გარკვეულ პირობაზეა დამოკიდებული. ეს პირობა ალგორითმში მოცემულია „თუ ..., თუ არადა, მაშინ...“ სტრუქტურის მეშვეობით. მაშასადამე, ეს ალგორითმი განშტოებულია.

ბლოკსქემაში პირობის შემოწმების ბლოკი რომბით აღინიშნება და მას თითო შესასვლელ-გამოსასვლელი (განშტოებები) აქვს. ერთდროულად ალგორითმის მხოლოდ ერთი განშტოების – ან „კის“, ან „არას“ – შესრულება შეიძლება.




განშტოებული ალგორითმის ასეთ ფორმას **სრულს** უწოდებენ. ზოგჯერ ალგორითმში არ არის მითითებული, რა შემთხვევაში არ სრულდება პირობა. ასეთ დროს განშტოებული ალგორითმის **არასრულ** ფორმას მიმართავენ. არასრული ფორმა ალგორითმის სიტყვიერად გამოსახვისას ასე გამოიყენება: „თუ..., მაშინ...“.

მაგალითად, ვინი-პუპს მხოლოდ თაფლი რომ უნდოდეს, მაშინ განშტოება ბლოკსქემაში ასე გამოისახებოდა:



## შევისწავლოთ დამოუკიდებლად

განსაზღვრეთ ალგორითმების სახეები. შეასრულეთ ალგორითმები რიცხვებისთვის 5 და 15. შეადარეთ ერთმანეთს შედეგები.



## შეამოხეთ შენი ცოდნა

გადააკეთეთ მცდარი გამონათქვამები ჭეშმარიტად.


- ალგორითმის სახე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის ის წარმოდგენილი.
- ალგორითმი, რომელიც ბლოკსქემის სახითაა წარმოდგენილი, განშტოებული ალგორითმია.
- კულინარული რეცეპტები წრფივი ალგორითმებია.
- ბლოკსქემაში განშტოების პირობა მართვულებებია მითითებული.
- განშტოებულ ალგორითმში ყველა პრძანება სრულდება.

## 14. ციკლური ალგორითმები



მდინარის ნაპირზე სამი ადამიანი დგას. მათ მეორე ნაპირზე გადასვლა უნდათ, მაგრამ მენავეს ნავში მხოლოდ თითო კაცის ჩასმა შეუძლია.

მენავის ქმედებათა თანამიმდევრობა ასე შეგვიძლია წარმოვადგინოთ:



### დასაწყისი

ჩასვას ადამიანი ნავში გადაიყვანოს მეორე ნაპირზე დაბრუნდეს

ჩასვას ადამიანი ნავში გადაიყვანოს მეორე ნაპირზე დაბრუნდეს

ჩასვას ადამიანი ნავში გადაიყვანოს მეორე ნაპირზე დაბრუნდეს

გადავიდეს ნაპირზე  
დასასრული

- რა სახისაა ეს ალგორითმი?
- როგორ ჩაწერთ მას, თუ ნაპირზე 30 ადამიანია გადასაყვანი?
- ბრძანებათა რომელი თანამიმდევრობა მეორდება ალგორითმში?

### საჭიროება

ანგარიშის დროს ხშირად გვხვდება განმეორებადი მოქმედებანი: ერთი და იმავე რიცხვების შეკრება ან გამრავლება. ასეთ შემთხვევებში ჩაწერის უფრო მოკლე ფორმას მიმართავენ, მაგალითად, თუ აუცილებელია რიცხვ  $15 \cdot 5$ -ის  $5 \cdot 3$ -ერ შეკრება, ნაცვლად გამოსახულებისა  $15+15+15+15$ , ნერენ:  $5 \times 15$ , ანუ შეკრებას კი არ იმეორდება რამდენჯერმე, არამედ ამრავლებენ.

- როგორ ჩავწეროთ მოკლედ მოინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე 60 ადამიანის გადაყვანის ალგორითმი?

ზოგიერთი ამოცანის ამოხსნის ალგორითმის შედგენისას ხშირად ქმედებათა ერთი და იმავე თანამიმდევრობის ზედიზედ რამდენჯერმე ჩაწერა უხდებათ. ცხადია, შეიძლება ამ თანამიმდევრობის იმდენჯერ ჩაწერა, რამდენჯერაც საჭიროა, მაგრამ ეს მეთოდი საკმაოდ მოუხერხებელია, როცა განმეორებათა რიცხვი დიდია.

ასეთი პრობლემის გადაწყვეტა განსაკუთრებული ალგორითმული სტრუქტურის – ციკლის – მეშვეობით შეიძლება. ციკლების გამოყენება თვალსაჩინოდ ამცირებს ალგორითმის მოცულობას.  
ალგორითმში ციკლის აღსანიშნად იყენებენ ბრძანებას – „გაიმეორე ი“. ალგორითმში ციკლის აღსანიშნად იყენებენ ბრძანებას – „გაიმეორე ი“.

### მაგალითი

60 ადამიანის მდინარის მეორე  
ნაპირზე გადაყვანის  
ალგორითმი ციკლის  
მეშვეობით ასე  
გამოისახება:



### დასაწყისი

ბაიმეორე 60

ჩასვი ადამიანი ნავში  
გადაიყვანე მეორე ნაპირზე  
დაბრუნდი  
გადადი ნაპირზე  
**დასასრული**

იმ ბრძანებათა გამოსაყოფად, რომლებიც ციკლ „ბაიმეორეს...“ ეკუთვნის, მათ მარჯვნივ შეწეულ სტრიქონზე წერენ. ზემოთ მოყვანილ მაგალითში პირველი 3 ბრძანება, რომლებიც ბრძანება „ბაიმეორეს“ მოსდევს, 60-ჯერ სრულდება, ხოლო ბრძანება „გადადი ნაპირზე“ – მხოლოდ ერთხელ.

ზოგჯერ ბრძანება „ბაიმეორეში...“ გამეორებათა რაოდენობის ნაცვლად ციკლის შესრულების პირობას უთითებენ. ეს იმ შემთხვევაშია მიზანშეწონილი, როცა უცნობია, რამდენჯერ უნდა გამეორდეს ციკლი, რომ ალგორითმის მიზანი შესრულდეს. ამ დროს ციკლის ბრძანება ასე იწერება: „**ბაიმეორე, სანამ... (ციკლის პირობა)**“



**ამცანა.** რობოტი ველის პირველ უჯრაშია.

გადაადგილებისას მან ყველა უჯრა უნდა გააფერადოს.

თუ ველში 18 გასაფერადებელი უჯრაა, მაშინ ალგორითმის ამოხსნა ასე ჩაიწერება:

### დასაწყისი

ბაიმეორე 18

გააფერადე უჯრა

წინ ერთი უჯრით  
**დასასრული**

მაგრამ თუ გასაფერადებელი უჯრების რაოდენობა წინასწარ ცნობილი არ არის, მაშინ ალგორითმი ასე შეიძლება გამოვსახოთ:

### დასაწყისი

ბაიმეორე, სანამ ყველა უჯრა არ გაფერადდება

გააფერადე უჯრა


წინ ერთი უჯრით

### დასასრული

ეს ალგორითმი პირველი შემთხვევისთვისაც გამოსადეგია, როდესაც უჯრების რაოდენობა წინასწარაა ცნობილი.


ციკლური ალგორითმების გამოსახვა ბლოკსქემის სახითაც შეიძლება. წინა ამოცანის ალგორითმის ბლოკსქემას ასეთი სახე ექნება:

ბლოკსქემიდან ნათლად ჩანს, რომ თუ არის გაუფერადებელი უჯრები, ბრძანებები „გააფერადე უჯრა“ და „წინ ერთი უჯრით“ მრავალჯერ შესრულდება.



## შევისცავაზოთ დამოუკიდებელი

ამოცსენით ამოცანა.



მუხლუხი ათმეტრიანი ხის კენწეროზე აცოცებას ღამობს. დღისით ის 3 მეტრით აცოცებას ახერხებს, მაგრამ ღამით 2 მეტრით უკან დახევა უხდება. რამდენ დღეში მიაღწევს მუხლუხი ხის კენწერომდე?

რომელი ნაბიჯები მეორდება მუხლუხის ქმედებებში? რამდენჯერ მეორდება ეს ქმედებანი?

## შეამოცი შენი ცოდნა

1. რა შემთხვევაში იყენებენ ალგორითმებში ციკლებს?
2. მოიყვანეთ ციკლური პროცესების მაგალითები, რომლებიც ცხოვრებაში შეგხვედრიათ.
3. საბინამ თავის დას მძივი გაუწყვიტა. მძივის ხელახლა ასაწყობად მან ასეთი ალგორითმი მოითვიქრა:

### დასაწყისი

გაიმორე, სანამ მძივის მარცვლები იატაკზეა გაფანტული  
აიღე იატაკიდან მძივის მარცვალი  
გაუყარე მარცვალი ძაფში

### დასასრული

როგორ შეიცვლება ალგორითმი, თუ საბინას და იტყვის, რომ მძივში 11 მარცვალი იყო?

## 15. სახალისო ამოცანები

ჩვენ ხშირად გვიხდება სხვადასხვა თავსატეხის ამოხსნა. თამაშის, სპორტული ასპარეზობის, ასევე ნებისმიერი სხვა საქმიანობის დროს წარამარავანყდებით მარტივ თუ რთულ ამოცანებს და ვხსნით მათ. თავსატეხების ამოხსნა ღრმად დაფიქრებას, გონიერად გვიღობას, ლოგიკურსა და ალგორითმულ აზროვნებას მოითხოვს.

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე სახალისო ამოცანისა და მათი ამოხსნის ნიმუშები. გაეცანით მათ.



- ალგორითმების რომელ სახეობას მიეკუთვნება ამ ამოცანების ამოხსნა? ამოცანა 1.

ძალიან გრძელ და ვიწრო ღარში 8 ბურთულა დევს – 4 შავი ბურთულა მარცხნივ, 4 ცოტა უფრო დიდი თეთრი ბურთულა კი – მარჯვნივ. ღარის შუა ნაწილში პატარა ნიშია, რომელშიც კიდევ ერთი (თეთრი ან შავი) ბურთულა ჩაეტევა. ღარის მარცხენა ბოლო დახშულია, ხოლო მარჯვენა ბოლოში არის ნახვრეტი, რომელშიც შავი ბურთულა გაეტევა, თეთრი კი – არა. როგორ გამოვაგოროთ ღარიდან შავი ბურთულები?

**საწყისი მდებარეობა**



### ამოხსნა

ოთხჯერ უნდა გამეორდეს ქმედებათა შემდეგი ჯგუფი.

1. ნიშში უნდა შევაგოროთ მისი უახლოესი შავი ბურთულა;



2. გადავაგოროთ ყველა ბურთულა ღარის მარცხენა ბოლოსკენ;



3. გამოვაგოროთ შავი ბურთულა ნიშიდან;




4. გადავაგოროთ ყველა ბურთულა ღარის მარჯვენა მხარეს;

5. გამოვაგოროთ შავი ბურთულა ღარიდან.


## ამოცანა 2.

ერთლიანდაგიან რკინიგზაზე ურთიერთშემხვედრი მიმართულებით ორი მატარებელი მოძრაობს. თითოეულ მათგანში 10 ვაგონია. სათადარიგო ლიანდაგი, რომელთანაც ისინი ერთმანეთს შეხვდა, ორი შტოსგან (A და B) შედგება. თითოეული შტო მხოლოდ 5 ვაგონსა და თბომავალს იტევს. ამ სირთულის გამო სათადარიგო ლიანდაგთან ორივე მატარებელი გაჩერდა, რადგან თავიდან მემანქანებმა არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. მაგრამ შემდეგ, მანევრირების შედეგად, წარმატებით გაართვეს თავი ამ ამოცანას და თავ-თავის გზას დაადგნენ. როგორ მოახერხეს მათ ამის გაკეთება?

### საწყისი მდგომარეობა




### სასურველი მდგომარეობა




## ამოხსნა


**ნაბიჯი 1.** მარჯვენა მატარებელი უკან იხევს და 5 ვაგონს ჩამოიხსნის.



**ნაბიჯი 2.** მარჯვენა მატარებლის თბომავალი და 5 ვაგონი A შტოზე დგება, მარცხენა მატარებელი კი სათადარიგო ლიანდაგზე გაივლის.



**ნაბიჯი 3.** მარჯვენა მატარებლის თბომავალი და 5 ვაგონი გადადის მარცხენა მხარეს, მარცხენა მატარებელი კი უკან იხევს და თავის ვაგონებს სათადარიგო ლიანდაგის მარცხნივ ტოვებს; მისი თბომავალი ჩაიბამს მარჯვენა მატარებლის 5 ვაგონს და A შტოზე გადაიყვანს.



**ნაბიჯი 4.** თბომავალი A შტოდან უკან იხევს, ჩაიბამს თვის 10 ვაგონს და სათადარიგო ლიანდაგის B შტოთი თავის გზაზე გადადის.



**ნაბიჯი 5.** მარჯვენა მატარებლის თბომავალი, თავისი 5 ვაგონით, უკან იხევს, ჩაიბამს თავის ვაგონებს, რომლებიც A შტოზე დგას და მოძრაობას საჭირო მიმართულებით გააგრძელებს.



## შევისწავლოთ დაორუკიდებად

კუნძულზე ორი ტომი ცხოვრობს: გულმართლები და ცრუპენტელები. გულმართლები ყოველთვის სიმართლეს ამბობენ, ცრუპენტელები კი გამუდმებით იტყუებიან. კუნძულზე ჩამოსულმა მოგზაურმა მეგზურად ადგილობრივი მცხოვრები დაიქირავა. ისინი გზას დაადგნენ და კუნძულის მეორე მცხოვრები დაინახეს. მოგზაურმა მეგზურს სთხოვა გაეგო, რომელი ტომის წარმომადგენელი იყო ის კაცი. მეგზური დაბრუნდა და უთხრა, გულმართლებს ეკუთვნისო. ვინ იყო მეგზური: გულმართალი თუ ცრუპენტელა?

შეადგინეთ ამოცანის ამოხსნის ალგორითმი.



## შეამოცით შეინიშნო

ორ ინგლისელს, რომლებიც ამაზონის ჯუნგლებში მოგზაურობენ, და მათ ორ გამცილებელს, ადგილობრივი ტომიდან, მდინარის მეორე ნაპირზე გადასვლა ესაჭიროებათ. მოგზაურებს პატარა გასაბერი ნავი აქვთ, რომელშიც მხოლოდ ორი ადამიანი ეტევა. ინგლისელები ეჭვობენ, რომ მათი გამცილებლები კაციჭამიათა ტომს ეკუთვნიან, და თავს უსაფრთხოდ მხოლოდ მაშინ გრძნობენ, როცა ერთად არიან. როგორ მოახერხონ მოგზაურებმა მდინარის უსაფრთხოდ გადაღლახვა?

შეადგინეთ ამოცანის ამოხსნის ალგორითმი და განსაზღვრეთ მისი სახეობა.

## შემაჯამებელი დავალებები

1. ახალი კერძის რეცეპტში ერთ-ერთი პროდუქტის დასახელება არასწორად ეწერა და მზარეულმა ვერ შეძლო მისი სწორად ამოკითხვა. ალგორითმის რომელი თვისება დაირღვა ამით?

- ა) უნივერსალობა;  
ბ) განსაზღვრულობა;  
გ) დისკრეტულობა;  
დ) შედეგიანობა.

2. განსაზღვრეთ ქვემოთ მოცემული ალგორითმების სახეობა.

ა)

**დასაწყისი**  
ჩაიცვი პერანგი  
**გაიმარრე, სანამ** ყველა ღილს არ შეიკრავ  
შეიკარი ღილი  
**დასასრული**

ბ)


**დასაწყისი**  
აირჩიე ნებისმიერი ნატურალური რიცხვი  
იპოვე მისი ციფრთა ჯამი  
თუ ჯამი იყოფა 3-ზე  
შაშინ რიცხვიც იყოფა 3-ზე  
თუ არა და რიცხვი არ იყოფა 3-ზე  
**დასასრული**

გ)

**დასაწყისი**  
აირჩიე ნებისმიერი ნატურალური რიცხვი  
იპოვე მისი ციფრთა ჯამი  
მიუმატე ჯამს ციფრი 7  
გვაცნობე შედეგი  
**დასასრული**

3. შეავსეთ ალგორითმში გამოტოვებული ადგილები ისე, რომ შედეგად მიიღოთ:

- ა) 2;  
ბ) 10.




# პროგრამირება

გვ. 55-72


4

- > 16. ცვლადი პროგრამაში
- > 17. არჩევანი პროგრამულ გარემოში
- > 18. ციკლი პროგრამულ გარემოში
- > 19. ციკლები და ნახატები
- > 20. მუსიკა პროგრამულ გარემოში



## 16. ცვლადი პროგრამაში

$$y=2x$$



$$S=vt$$



- რას ნიშნავს  $x, v, t$  მოცემულ ფორმულებში?
- რა მნიშვნელობის მიღება შეუძლია მათ?

### საქმიანობა

იპოვეთ კანონზომიერება ქვემოთ მოცემულ მათემატიკურ გამოსახულებებში. გამოიყენეთ ცვლადი და სამი გამოსახულება ერთით შეცვალეთ.

$$15*4+7 \quad 15*8+7 \quad 15*12+7$$

**ვიმსჯელოთ:** რომელი რიცხვები შეცვალეთ ცვლადით? რატომ?

ALPLogo-ს პროგრამულ გარემოში სხვა-დასხვა ბრძანების გამოყენებით სამუშაო ველში მრავალფეროვანი ფიგურების მიღება შეიძლება. ადვილი შესამჩნევა, რომ ზოგიერთი ბრძანების ჩანაწერში რიცხვებიც გვხვდება.

მათემატიკის გაკვეთილებიდან თქვენთვის ცნობილია „ცვლადის“ ცნება. ცვლადებს პროგრამის დანერის დროსაც იყენებენ.

სიდიდეს, რომელიც პროგრამის შესრულების პროცესში მნიშვნელობას იცვლის, ცვლადს უწოდებენ, ხოლო იმ სიდიდეს, რომელიც არ იცვლება – მუდმივას ანუ კონსტანტას.

ყოველ ცვლადს თავისი სახელი აქვს. ეს სახელი ბრძანების დასახელებას არ უნდა ემთხვეოდეს.

პროგრამაში გამოყენებული ყველა ცვლადი წინასწარ უნდა გამოცხადდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა მივუთითოთ, რომელი სიდიდეებია ცვლადი. ცვლადის გამოსაცხადებლად ALPLogo-ს პროგრამულ გარემოში გამო-

სახლში ნაშლა კალამი დასწიე მარჯვნივ 60 ნინ 50 მარცხნივ 60 უკან 50 მარჯვნივ 60 ნინ 50
--



იყენება საკვანძო სიტყვა **ცვლადი**. ამ სიტყვის შემდეგ იწერება ცვლადის სახელი. ყოველი ცვლადი ახალ სტრიქონზე ცხადდება.

**ცვლადი X  
ცვლადი sum1  
ცვლადი color\_pen**


ცვლადის სახელის დასაწერად შეიძლება ლათინური ანბანის როგორც პატარა, ისე მთავრული ასოების, ციფრებისა და ქვედა ტირეს ( ) გამოყენება. ცვლადის სახელში არ უნდა იყოს შუალედი (ჰარი). პირველი სიმბოლო აუცილებლად ასო უნდა იყოს. სახელი შეიძლება ერთი ან რამდენიმე სიმბოლოსგან შედგებოდეს.

ცვლადისთვის **მნიშვნელობის** მისანიჭებლად კუთვნილების ნიშანს (=) იყენებენ. ამ დროს გამოითვლება კუთვნილების ნიშნის მარჯვნივ მდგომი გამოსახულების მნიშვნელობა და ის ნიშნის მარცხნივ მდგომ ცვლადს ენიჭება. ამის შედეგად ცვლადის ძველი მნიშვნელობა იშლება და ახლით იცვლება.

ოპერატორი „=“ ტოლობის ნიშნად არ უნდა ჩავთვალოთ, მაგალითად, გამოსახულება  $a=5$  ნიშნავს, რომ „ცვლად  $a$ -ს მიეკუთვნა მნიშვნელობა 5“.

დავუბრუნდეთ მაგალითს. პროგრამაში სამჯერაა გამოყენებული რიცხვი 50 და ორჯერ – რიცხვი 60. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ უფრო მოზრდილი ზიგზაგია დასახატავი. ამისათვის ყველა ეს რიცხვი უფრო დიდი რიცხვით უნდა შეიცვალოს. მაგრამ თუ ეს რიცხვები პროგრამაში ბევრგან გამოიყენება, მაშინ მასში ძალიან ბევრი ასეთი ცვლილების შეტანა მოვიხდება. უფრო მართებულია, ეს პროგრამა ცვლადების გამოყენებით დავწეროთ.


**სახლში  
წაშლა  
კალამი დასწიე  
ცვლადი X  
ცვლადი Y  
x = 60  
y = 50  
მარჯვნივ X  
წინ Y  
მარცხნივ X  
უკან Y  
მარჯვნივ X  
წინ Y**



მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ახალი ვარიანტი პირველსაწყისზე 4 სტრიქონით მეტი გახდა, ის უფრო ეფექტურია. ახლა  $x$ -ისა და  $y$ -ისთვის სხვადასხვა მნიშვნელობის მინიჭებით სხვადასხვაგვარი მრუდის მიღება შეიძლება.

## შევისწავლოთ დაორუკიდებად

გახსენით პროგრამა ALPLogo. დაწერეთ პროგრამა ქვემოთ მოცემული ფიგურის დასახატავად. შემდეგ შეცვალეთ ბრძანებებში (**წინ, მარჯვნივ**) გამოყენებული რიცხვები ცვლადებით. დააკვირდით, როგორ შეიცვლება ფიგურა ცვლადებისთვის სხვადასხვა მნიშვნელობის მინიჭებით.




## შეამოხვა შეიძლენა

1. რა არის ცვლადი და როგორ აღნიშნავენ მას ALPLogo-ს გარემოში?
2. აკრიფეთ პროგრამა ALPLogo-ს გარემოში დააკვირდით, როგორ შეიცვლება შედეგი ცვლადებისთვის სხვადასხვა მნიშვნელობის მინიჭებით.

სახლში  
წაშალე  
კალამი დასწიე  
ცვლადი  $r$   
ცვლადი  $q$   
 $r = 1$   
 $q = 1$   
კალმის ფერი  $r$   
კალმის სისქე  $q$   
წინ 100  
მარჯვნივ 120  
წინ 100  
მარჯვნივ 120  
წინ 100

## 17. არჩევანი პროგრამულ გარეაოში



- რა სახის ალგორითმები არსებობს?
- როგორ ალგორითმებს უწოდებენ განშტოებულს?

### საქმიანობა

#### შეასრულეთ ალგორითმი

#### დასაწყისი

გავეცნოთ კომპიუტერის მოწყობილობებს ინფორმატიკის კაბინეტში  
 თუ კაბინეტში პრინტერი არ არის  
 მაშინ ჩავიწეროთ კომპიუტერის შემტანი მოწყობილობების დასახელებანი  
 თუ არა და ჩავიწეროთ კომპიუტერის გამომტანი მოწყობილობების დასახელებანი  
 დასასრული

#### ვიმსჯელოთ:

- რომელი მოწყობილობის დასახელება ჩაიწერეთ?
- რა შემთხვევაში ჩაიწერთ გამომტანი მოწყობილობების დასახელებებს?

თქვენ მიერ აქამდე შედგენილ ყველა პროგრამაში ბრძანებები თანამიმდევრობით, ერთიმეორის მიყოლებით სრულდებოდა. არც ერთი ბრძანება არ გამოგიტოვებიათ. მაგრამ საკმაოდ ხშირად ხდება ისე, რომ პროგრამაში ყველა ბრძანება არ სრულდება. პროგრამის ზოგიერთი ნაწილის შეასრულება გარკვეული პირობის მნიშვნელობაზეა დამოკიდებული, მაგალითად, რომელიმე ცვლადის ერთი მნიშვნელობისას შეიძლება ერთი ფიგურის დახატვა იყოს აუცილებელი, ხოლო სხვა მნიშვნელობისას – მეორის. მომავალში ასეთი პროგრამის მაგალითსაც გაეცნობით.

**ALPLogo-ს** გარემოში პირობის ბრძანება შემდეგნაირად იწერება:

**თუ** (პირობა)  
[ბრძანება 1]  
**თუ არა და**  
[ბრძანება 2]

მიაქციეთ ყურადღება!

ალგორითმის ჩანაწერისგან განსხვავებით, **ALPLogo-ს** გარემოში პირობის ჩანაწერში სიტყვა „**მაშინ**“ არ გამოიყენება.

თუ პირობა ჭეშმარიტია, მაშინ სრულდება **ბრძანება 1**, ნინაალმდეგ შემთხვევაში შესრულდება **ბრძანება 2**.

პირობა შედგება გამოსახულებისგან, რომელშიც ხშირად გამოიყენება შედარების ოპერაციები:

- = უდრის
- > მეტია
- < ნაკლებია
- >= მეტია ან ტოლი
- <= ნაკლებია ან ტოლი
- <> არ უდრის

თუ პირობის დასაცავად რამდენიმე ბრძანების შესრულებაა საჭირო, მაშინ პირობის ბრძანება ასე იწერება:

**თუ** (პირობა)  
[ბრძანება 1]  
**თუ არა და**  
[ბრძანება 2]

როგორც ხედავთ, შესასრულებელი ბრძანებები კვადრატულ ფრჩხილებში [...] იწერება.

### მაგალითი

შევადგინოთ პროგრამა, რომელშიც კუ, თუ მას წითელი კალამი უჭირავს, წითელ სამკუთხედს ხაზავს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი – რომელიმე სხვა (არა წითელი) ფერის ოთხკუთხედს.

**სახლში**

**წაშლა**

**კალამი დასწიე**

**ცვლადი r**

**ცვლადი x**

**r = 1**

**x = 100**

**კალმის ფერი r**

**თუ (r = 4)**


[ნინ x მარჯვნივ 120 ნინ x მარჯვნივ 120 ნინ x მარჯვნივ 120]

**თუ არა და**


[ნინ x მარჯვნივ 90 ნინ x მარჯვნივ 120]

[ნინ x მარჯვნივ 90 ნინ x მარჯვნივ 120]

**როცა r = 1**



**როცა r = 4**



პროგრამა ALPLogo-ში კუს მარტო ხატვა კი არა, წერაც შეუძლია.

ამისათვის არსებობს ბრძანება **დაწერე**.

თუ ეკრანზე რიცხვის გამოტანა გვსურს, მაშინ ბრძანებას ასე ვწერთ:

### დაწერე n

თუ ეკრანზე ტექსტის ფრაგმენტის გამოტანა გვსურს, მაშინ ის ბრჭყალებში უნდა დავწეროთ.

### დაწერე „ტექსტი“

შესაძლებელია შრიფტის ზომის შეცვლა. ამისათვის განკუთვნილია შემდეგი ბრძანება:

#### ტექსტის ზომა n

აქ n ნატურალური რიცხვია; როცა n = 0, იგულისხმება შრიფტის ზომა 12 პუნქტი.

## შევისწავლოთ დამოუკიდებელად

გვაქვს ორი სხვადასხვა წონის ლიმონი და გვინდა გავიგოთ, მათ შორის რომელია უფრო მსუბუქი. აღვნიშნოთ მათი წონა, შესაბამისად, c1 და c2 ცვლადებით. ამ ამოცანის ამოხსნის პროგრამა ALPLLogo-ს გარემოში ასეთი იქნება:

ცვლადი c1

ცვლადი c2

c1 = 100

c2 = 120

თუ (c1 < c2)

[დაწერე „1-ლი ლიმონი უფრო მსუბუქია“]

თუ არა და

[დაწერე „მე-2 ლიმონი უფრო მსუბუქია“]

დააკვირდით, c1 და c2 ცვლადებისთვის სხვადასხვა მნიშვნელობის მინიჭებით როგორ იცვლება პროგრამის მუშაობის შედეგი.

## შევისწავლოთ შენი ცოდნა

1. როგორ იწერება ALPLLogo-ს გარემოში პირობის შემოწმების პრძანება?
2. რა გამოჩენდება ეკრანზე ქვემოთ მოცემული პროგრამის შესრულების შემდეგ?

ცვლადი k

k = -45

თუ (k > 0)

[დაწერე – „k დადებითი რიცხვია“]

თუ არა და

[დაწერე – „k უარყოფითი რიცხვია“]

3. დაუწერეთ კუს ისეთი პროგრამა, რომ თუ ცვლად a-ს მნიშვნელობა 5-ის ტოლია, ეკრანზე გამოვიდეს გამოსახულება „a = 5“, წინააღმდეგ შემთხვევაში კი – „a  $\neq$  5“.

## 18. ციკლი პროგრამულ გარემოში



- რა არის ციკლური ალგორითმი?
- როგორ ჩავრთოთ ალგორითმის ჩანაწერში ციკლი?

### საჭიროება

გამოიყენეთ ციკლი და დაწერეთ ფურცელზე ქვემოთ მოცემული ალგორითმი.

**მარჯვნივ 120**

**ნინ 100**

**მარჯვნივ 120**

**ნინ 100**

**მარჯვნივ 120**

**ნინ 100**

**ვიმსჯელოთ:**

- რომელი ბრძანება გამოიყენეთ ციკლის შესაქმნელად?
- რამდენჯერ გამოირდება ბრძანებები ციკლში?

პარაგრაფ „ციკლურ ალგორითმებში“ ლაპარაკი იყო ციკლის გამოყენების უპირატესობაზე ციკლური ალგორითმების ჩაწერისას – ციკლი თვალსაჩინოდ ამცირებს ალგორითმის ბრძანებათა ჩანაწერს. ALPLogo-ს გარემოში ციკლების შესაქმნელად გამოიყენება ბრძანება **გაიმეორე**. ALPLogo-ს გარემოში ციკლის ბრძანებას შემდეგი სახე აქვს:

**გაიმეორე [**

**ბრძანება 1**

**ბრძანება 2**

**...**

**]**

აქ ნ გამეორებათა რიცხვს გვიჩვენებს. კვადრატულ ფრჩხილებში განმეორებადი ბრძანებები იწერება. ეს ბრძანებები შეიძლება ერთ სტრიქონში დაიწეროს.

### მაგალითი

მარცხნივ წარმოდგენილია პროგრამა, რომლის მიზანია ALPLogo-ს გარემოში ეკრანზე კვადრატის გამოსახულების მიღება. მარჯვნივ იგივე პროგრამა ჩაწერილია ბრძანება **გაიმეორე**-ს გამოყენებით.



**დასწიე კალამი**

წინ 100 მარჯვნივ 90  
წინ 100 მარჯვნივ 90  
წინ 100 მარჯვნივ 90  
წინ 100 მარჯვნივ 90

**დასწიე კალამი**

გაიმეორე 4 [წინ 100 მარჯვნივ 90]

ბრძანება **გაიმეორე**-ს მეშვეობით ეკრანზე საინტერესო გრაფიკული გამოსახულებების მიღება შეიძლება.

ალბთ შეამჩნიეთ, რომ კუ კვადრატის დახატვას იმავე წერტილში ამთავრებს, საიდანაც დაიწყო. მაშასადამე, მისი საწყისი და საბოლოო მდებარეობა ერთმანეთს ემთხვევა. კვადრატის ხატვისას კუ 4-ჯერ შემობრუნდება, ანუ ერთ სრულ ბრუნს აკეთებს. ამგვარად, მისი შემობრუნების კუთხე ასე შეგვიძლია გამოვთვალოთ:  $360:4 = 90$ .

ამავე პრინციპით შეიძლება დაიხატოს სხვა წესიერი მრავალკუთხედებიც, ანუ ისეთი ფიგურები, რომლებსაც ყველა გვერდი და კუთხე ტოლი აქვს. წესიერი ხუთკუთხედის დასახატვად კუ ყოველ ჯერზე 72 გრადუსით ( $360:5=72$ ) უნდა შემობრუნდეს. ექვსკუთხედის შემთხვევაში შემობრუნების კუთხე 60 გრადუსს შეადგენს. ცხრილში ნაჩვენებია შემობრუნების კუთხეები ზოგიერთი ფიგურისათვის.


მრავალკუთხედი	წვეროების რიცხვი	შემობრუნების კუთხე	ნახატი
სამკუთხედი	3	$360 : 3 = 120$	
კვადრატი	4	$360 : 4 = 90$	
ხუთკუთხედი	5	$360 : 5 = 72$	
ექვსკუთხედი	6	$360 : 6 = 60$	

## შევისცავლოთ დამოუკიდებად

აკრიფეთ და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული პროგრამები. რიცხვების ცვლისას ყურადღება მიაქციეთ ფიგურების ცვლას. რატომ ხატავს კუ წრე-ხაზს მეორე პროგრამის შესრულებისას?


ა)

**დასწიეკალამი  
გაიმეორე 10 [წინ 60 მარჯვნივ 36]**




ბ)

**დასწიეკალამი  
გაიმეორე 36 [წინ 20 მარჯვნივ 10]**






## შეამოხვე შენი ცოდნა

- რა მიზნით გამოიყენება პროგრამებში პრძანება **გაიმეორე**?
- ციკლის ბრძანების გამოყენებით მიიღეთ შემდეგი ფიგურები.



- დაწერეთ პროგრამები წესიერი მრავალკუთხედების ასაგებად (გვერდების ზომები – 12, 20 და 100).

## 19. ციკლები და ნახატები



- რომელი ფიგურების გამეორების შედეგადაა მიღებული ეს ორნამენტები?

### საეთიანობა

აკრიფეთ პროგრამა და შემდეგ ALPLogo-ს პროგრამულ გარემოში შეასრულეთ.

**კოდის ველი**

```
სახლში  
წაშალე  
დასწიე კალამი  
გაიმეორე 36 [ნინ 10 მარჯვნივ 10]  
მარჯვნივ 90  
გაიმეორე 36 [ნინ 10 მარჯვნივ 10]  
მარჯვნივ 90  
გაიმეორე 36 [ნინ 10 მარჯვნივ 10]  
მარჯვნივ 90  
გაიმეორე 36 [ნინ 10 მარჯვნივ 10]  
მარჯვნივ 90
```

**გრაფიკის ველი**

#### ვიმსჯელოთ:

- რომელი ბრძანებები მონაწილეობს ერთი წრეხაზის აგებაში?
- რომელი ბრძანებაა გამოყენებული მომდევნო წრეხაზზე გადასასვლელად?

წინა გაკვეთილზე გაიგეთ, როგორ მიიღოთ ციკლის ბრძანების მეშვეობით ეკრანზე კვადრატი, ექვსკუთხედი, რვაკუთხედი. განმეორებათა რიცხვისა და კუს მობრუნების კუთხის ცვლილება სხვა წესიერი მრავალკუთხედების აგებაშიც დაგეხმარებათ. ერთი და იმავე ფიგურის ადგილმდებარეობის შეცვლით ან მისი ბრუნვით საინტერესო გამოსახულებების შექმნა შეგიძლიათ. დავუბრუნდეთ პროგრამას, რომელიც რუბრიკა „საქმიანობაშია“ მოცემული. პირველი წრეხაზის აგების (გაიმეორე 36-ჯერ [ნინ



10 მარჯვნივ 10] შემდეგ კუ 90 გრადუსით მარჯვნივ შემობრუნდება (მარჯვნივ 90) მეორე წრესაზე გადასასვლელად. ასეთი ქმედება კი- დევ 3-ჯერ მეორდება.

**გაიმეორე 36 [წინ 10 მარჯვნივ 10] მარჯვნივ 90**

როგორც ხედავთ, ბრძანებათა ერთი და იგივე ჯგუფი 4-ჯერ მეორ- დება. ისინი ერთ ციკლში გაერთიანდება.

წრესაზების  
რაოდენობა

შემობრუნების კუთხე შემდეგი  
ფიგურის ასაგებად

**გაიმეორე 4-ჯერ გაიმეორე 36-ჯერ [წინ 10 მარჯვნივ 10] მარჯვნივ 90] მარჯვნივ 90**

იხაზება წრესაზი

ერთი ციკლი შეიძლება მეორეში მოთავსდეს. ასეთ ციკლს **ჩადგმულ ციკლს უწოდებენ**.

### მაგალითი

მოცემულ პროგრამაში ჩადგმული ციკლებია გამოყენებული.

**სახლში**


**წაშალე**

**კალამიდასწიე**

**კალმისფერი 1**


**გაიმეორე 20-ჯერ [გაიმეორე 4-ჯერ [წინ 100 მარჯვნივ 90] მარჯვნივ 18]**

პროგრამაში 20-ჯერ იხაზება კვადრატი. ყოველი მომდევნო კვადრა- ტის დასახაზად კუ 18 გრადუსით შემობრუნდება ( $360 : 20 = 18$ ).



## შევისცავლოთ დამოუკიდებლად

რომელი მარტივი ფიგურის მეშვეობითაა შექმნილი მოცემული გამოსახულება? რამდენჯერაა ის გამორებული?






- შეასრულეთ პროგრამა გამოტოვებულ ადგილებში შესაბამისი რიცხვების ჩასმით.
- შემობრუნების კუთხისა და გამეორებათა რიცხვის ცვლით მიღეთ სხვადასხვა ფიგურა.

კალამი დასწიე  
გაიმეორე...[  
გაიმეორე 3-ჯერ [წინ 200 მარჯვნივ 120]  
მარჯვნივ...]

## შეამოხვო შეიძი ცოდნა

1. დაწერეთ პროგრამები მოცემული ფიგურების ასაგებად.



## 20. მუსიკა პროგრამულ გარემოში



- რა ფორმით შეუძლია კომპოზიტორს თავისი ნაწარმოებების წარმოდგენა?
- რა არის საჭირო მელოდიის ნოტებით ჩასაწერად?

### საქმიანობა

#### გავეცნოთ მარტივ მუსიკალურ რედაქტორს

1. გახსნით ALPLogo-ს პროგრამული გარემო;
2. დააწაპუნეთ ინსტუმენტების პანელის ღილაკ -ზე. გაიხსნება მუსიკალური რედაქტორის ფანჯარა;
3. აწაპუნეთ თაგვით რედაქტორის კლავიშებზე. გაიგონებთ ბეგერებს, ზემოთ კი შესაბამისი ნოტები გამოისახება;
4. მიღებული მელოდიის მოსასმენად დააჭირეთ კლავიშებზე -ს, მელოდიის დაკვრის შესაწყვეტად დააჭირეთ შენწყვეტის ღილაკ -ს;
5. მელოდიის ხმისა და ტემპის შესაცლელად ისარგებლეთ შესაბამისი ზოლებით: მელოდიის ხმისაღლობა და მელოდიის სიჩქარე;
6. არჩეული მელოდიის შესანახად შეიყვანეთ მისი სახელი ველ მელოდიის სახელში და დააჭირეთ ღილაკ მელოდიის შენახვებს;
7. რედაქტორის ფანჯრის ქვედა ნაწილში მოცემული სიიდან აირჩიეთ ნებისმიერი მელოდიის სახელი და დააჭირეთ ღილაკ მელოდიის ჩართვას. ფანჯრის ზედა ნაწილში შესაბამისი მელოდიის ნოტები გამოისახება;
8. ჩართეთ მელოდია;
9. დახურეთ მუსიკალური რედაქტორის ფანჯარა.



#### ვიმსჯელოთ:

- რომელმა მელოდიამ გაიუღერა?
- განსხვავდება თუ არა ცოცხალი მელოდია კომპიუტერში დაკრული მელოდიისაგან?


კომპიუტერი ინფორმაციის სხვადასხვა სახეობაზე, მათ შორის, ხმოვან ინფორმაციაზეც მუშაობს. ხმოვანი ინფორმაცია კომპიუტერში სხვა სახეობების ინფორმაციის მსგავსად ორობითი კოდითაა წარმოდგენილი. მელოდიის შესაქმნელად და მასზე სამუშაოდ კომპიუტერში სპეციალური პროგრამები – **მუსიკალური რედაქტორები** – არსებობს. თანამედროვე კომპიოტორები თავიანთი ნაწარმოებების შესაქმნელად პროფესიული მუსიკალური რედაქტორებით სარგებლობენ.

**ALPLogo-ს** პროგრამული გარემოს შემადგელობაში მარტივი მუსიკალური რედაქტორიც შედის. მუსიკალური რედაქტორის ფანჯარაში არის კლავიატურა, რომელიც გარეგნულად სინთეზატორის ან ფორტეპიანოს სამოქტავიან კლავიატურას მოგაგონებთ. თაგვით კლავიატურის შესაბამის ნოტებზე დაჭრით თქვენთვის სასურველი მელოდიის დაკვრა შეგიძლიათ. ამისათვის კომპიუტერის კლავიატურის კლავიშების გამოყენებაც შეიძლება.

ამ ველში გამოისახება კლავიატურის მემკვიდრეობით აკრეფილი მელოდიების ან მზა სიიდან ამორჩეული მელოდიების ნოტები.

აქ შეიძლება ნოტების ხანგრძლივობის არჩევა.

ახალი მელოდიის შესაქმნელად ისარგებლეთ ამ კლავიშებით.



**ALPLogo-ს** გარემოში პროგრამის შესრულების დროს რედაქტორში დაკრული მელოდიის გახმოვანება შეიძლება. ამისათვის პირველ რიგში მისი გარკვეული სახელით დამახსოვრებაა აუცილებელი. პროგრამაში შენახული მელოდიის, ანუ მუსიკალური ფაილის, დაკვრისთვის საჭირო ბრძანება ზოგადად ასე გამოიყურება:

**მუსიკა N, S,**

სადაც **N** – მუსიკალური ფაილის სახელწოდებაა, ხოლო **S** – მელოდიის დაკვრის სიჩქარე. მელოდიის დაკვრის სიჩქარის ცვლით შესაძლებელია მისი უდერადობის ხანგრძლივობის სინქრონიზება პროგრამაში ნახატის შექმნის დროსთან.

## მაგალითი

**მუსიკა Qamma. alm, 100**

ბრძანება **მუსიკა** პროგრამის ნებისმიერ ნაწილში შეიძლება განთავსდეს, მაგრამ უმჯობესია მისი პროგრამის დასაწყისში განთავსება. ამ შემთხვევაში მელოდია პროგრამის შესრულების დაწყებისთანავე ჩაირთვება.

## შევისწავლოთ დამოუკიდებლად

აკრიფეთ და შეასრულეთ შემდეგი პროგრამა:

სახლში  
წაშალე  
დამალეკუ  
კალმის სისქე 6  
კალმის ფერი 1  
კალამი დასწიე  
მუსიკა Qamma. alm, 100  
გაიმეორე 12 [გაიმეორე 4 [წინ 100 მარჯვნივ 90]  
მარჯვნივ 30]  
მარჯვნივ 90 წინ 120  
კალმის ფერი 4  
გაიმეორე 12 [გაიმეორე 4 [წინ 100 მარჯვნივ 90]  
მარჯვნივ 30]  
წინ 120  
კალმის ფერი 2  
გაიმეორე 12 [გაიმეორე 4 [წინ 100 მარჯვნივ 90]  
მარჯვნივ 30]

როგორი ნახატი მიიღეთ ეკრანზე? შეცვალეთ პროგრამა ისე, რომ სხვა მელოდიის დაკვრისას სხვა ფიგურა იხატებოდეს.


## შეამონე შენი ცოდნა

1. რა მსგავსება და განსხვავებაა ტექსტურ, გრაფიკულსა და მუსიკალურ რედაქტორებს შორის?
2. როგორ დავამატოთ პროგრამას ALPLLogo-ს გარემოში შექმნილი მელოდია?
3. დაწერეთ პროგრამა ნებისმიერი ფიგურის მისალებად. მუსიკალურ რედაქტორში შექმნით ფაილი და დამატეთ იგი თქვენს პროგრამას.

## შემაჯამებელი დავალებები

1. რა უნდა ჩაიწეროს გამოტოვებულ ადგილებში, რათა ALPLogo-ს გარემოში წესიერი ათკუთხედი მივიღოთ?

დასწიე კალამი  
გაიმეორე ... [წინ 60 მარჯვნივ ...]



2. რა შედეგს მივიღებთ ALPLogo-ს გარემოში მოცემული პროგრამის შესრულებით?

დასწიე კალამი  
ცვლადი c  
 $c = -45$   
თუ ( $c < 5$ ) [დაწერე c]  
თუ არა და [დაწერე „სალამი“]

3. რას დახატავს კუ ამ პროგრამის შესრულებისს, თუ  $b=3$ -ს?

დასწიე კალამი  
ცვლადი b  
 $b =$   
თუ ( $b < 0$ )  
[გაიმეორე 5 [წინ 50 მარჯვნივ 72]  
თუ არა და  
[წინ 150 მარჯვნივ 90]]

4. რა ფიგურა მიიღება და რომელი მელოდია გაჟღერდება ამ პროგრამის შესრულებისას?

დასწიე კალამი  
მუსიკა  
მუსიკა Qamma. alm, 300  
გაიმეორე 3 [წინ 100 მარჯვნივ 120]

5. შეცვალეთ მცდარი გამონათქვამი ჭეშმარიტით.

- ALPLogo-ს გარემოში შეიძლება დაიწეროს სიტყვა.
- LOGO-ს ენაზე ციკლური ალგორითმის გამოსახვა არ შეიძლება.
- ბრძანება „თუ“ შეიძლება პირობის გარეშე დაიწეროს.
- აუცილებელი არ არის, ცვლადის მნიშვნელობა პროგრამის შესრულების პროცესში შეიცვალოს.
- ALPLogo-ს გარემოში მუსიკის შექმნა შეიძლება.
- ციკლში ბრძანებები მრგვალ ფრჩხილებში ( ) იწერება.

# ინტერნეტი


გვ. 73-96

5

- > 21. ინფორმაციულ რესურსებზე მუშაობის ეტაპები
- > 22. გასეირნება მსოფლიო ქსელში
- > 23. ძიება ინტერნეტში
- > 24. ელექტრონული ფოსტა
- > 25. მიწერ-მოწერა ელექტრონულ ფოსტაში



## 21. ინფორმაციულ რესურსებზე მუშაობის ეტაპები



- რა სახის ინფორმაციული პროცესებია წარმოდგენილი ამ სურათებზე?

### საქმიანობა

წარმოდგინეთ, რომ მოსამზადებელი გაქვთ მოხსენება თემაზე: „აზერბაიჯანის ისტორიული ძეგლები“. დაწერეთ თანამიმდევრობით ამ მოხსენების მომზადების ეტაპები.

№	ჩატარებული სამუშაო
1	
2	
3	
4	

#### ვიმსჯელოთ:

- რა წყაროებს გამოიყენებთ მოხსენების მოსამზადებლად?
- სად მოიძიებთ მასალას?
- როგორ მიაწვდით ამ ინფორმაციას რაც შეიძლება მეტ ადამიანს?

ინფორმაციული რესურსებში ადამიანების მიერ შექმნილი და სხვადასხვა სახის მატარებლებში შენახული ინფორმაცია იგულისხმება. ძირითადად ეს არის მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროს ფაქტები და სხვადასხვა ინფორმაციის დამუშავების შედეგად მიღებული ცოდნა. იმისათვის, რომ შემდგომშიც იყოს შესაძლებელი ამ ინფორმაციული რესურსებით სარგებლობა, მათ სადმე ინახავენ. ამ მიზნით იქმნება სხვადასხვა საინფორმაციო სისტემა: ბიბლიოთეკები, არქივები, ფილმოთეკები, სამხატვრო გალერეები, მუზეუმები.

სხვადასხვა ამოცანის გადაწყვეტისას ადამიანები გამუდმებით იყენებენ ინფორმაციულ რესურსებს. სასურველი შედეგის მისაღწევად მომხმარებელი ინფორმაციაზე მუშაობის რამდენიმე ეტაპს გაივლის.

თქვენ უკვე იცით პრეზენტაციის მომზადება. ყოველი მზა პრეზენტაცია უკვე ინფორმაციული რესურსია. გავიხსენოთ, რა ეტაპებს გაივლის გარკვეულ თემაზე პრეზენტაციის მომზადება. დასაწყისში თქვენ შემოგთვაზეს საპრეზენტაციო თემა, ანუ დაგისახეს მიზანი, მაგალითად:

**მომზადეთ პრეზენტაცია თემაზე „დედამიწა“.** შემდეგი ეტაპი იყო ინფორმაციის შეკრება მოცემულ თემაზე: **რომელი გეოგრაფიული ობიექტები არსებობს დედამიწის ზედაპირზე,** როგორია მისი შინაგანი



აგებულება, როგორ წარმოიქმნება მთები, რა არის ეკვატორი და ა.შ. საჭირო ინფორმაციის მიღება შეგეძლოთ სახელმძღვანელოებიდან, ენციკლოპედიებიდან, ცნობარებიდან, ინტერნეტიდან.

მესამე ეტაპზე თქვენ დაახარისხეთ მოძიებული ინფორმაცია მისი ცალკეულ განყოფილებებად სის-

ტემატიზების მიზნით: **ობიექტების გეოგრაფიული მდებარეობა დედამიწაზე, დედამიწის ზედაპირის გეოგრაფიული ობიექტები, დედამიწის შინაგანი აგებულება.** განსაზღვრეთ, რომელ სლაიდზე რა ინფორმაცია უნდა განვეთავსებინათ.

მეოთხე ეტაპი მიეძღვნა თქვენი ნამუშევრის წარდგენისთვის შესაფერისი ფორმის შერჩევას. მაშინ უპირატესობა მიენიჭა ელექტრონულ ფორმას. სხვა დროს, მიზნის შესაბამისად, შეიძლება შეიჩრეს სხვა ფორმაცია: ქაღალდზე ამობეჭდვა, ინტერნეტში განთავსება.


მეხუთე ეტაპია მომზადებული რესურსის გავრცელება. აქაც რამდენიმე ვარიანტია შესაძლებელი: აუდიტორიის წინაშე გამოსვლა, დაბეჭდილი ვერსიის დარიგება, დისკუზე ჩაწერა და მეგობრებისთვის გადაცემა, რომელიმე კონკურსზე წარდგენა.

### დაიმასოვო

ინფორმაციული რესურსი  
ინფორმაციის მოძიება  
ინფორმაციის დაჯგუფება  
ინფორმაციის წარმოდგენა  
ინფორმაციის გავრცელება



ამგვარად, ინფორმაციულ რესურსებზე მუშაობა შემდეგ ეტაპებად იყოფა:



## შევისწავლოთ დამოუკიდებელი

შეარჩიეთ შემოთავაზებულთაგან ერთ-ერთი თემა. განსაზღვრეთ მოცემულ თემაზე ინფორმაციული რესურსის მომზადების თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაო.

- ა) აზერბაიჯანის ისტორიული ძეგლები;
- ბ) მსოფლოს საოცრებები;
- გ) ცოცხალი ორგანიზმების კლასიფიკაცია.

## შეამოციეთ შენი ცოდნა

1. რომელი ინფორმაციული სისტემებით სარგებლობთ სისტემატურად?

- ა) სურათების გალერეით;
- ბ) მუზეუმით;
- გ) ინტერნეტით;
- დ) ფილმოთეკით;
- ე) ბიბლიოთეკით.

2. რა ნიშნებით შეიძლება ინფორმაციული რესურსების დაჯგუფება?

3. ინფორმაციული რესურსების წარმოდგენის რომელ ფორმას აირჩივდით შემდეგი მიზნებისთვის:

- გაუზიაროთ ბევრ ადამიანს;
- გაუზიაროთ თანაკლასელებს;
- გააცნოთ თქვენი სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს.

## 22. გასირნება მსოფლიო ქსელში

ამჟამად ქაღალდის მატარებლებზე შენახული ინფორმაციული რესურსები ელექტრონულ ფორმაში გადააქვთ და ინტერნეტში ათავსებენ. ელექტრონული ბიბლიოთეკების მომსახურებით ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი სარგებლობს. ბევრი ჟურნალი და გაზეთი ბეჭდურ ვარიანტთან ერთად ელექტრონული სახითაც ვრცელდება. რადიო და ტელეარხებს ინტერნეტში თავიანთი გვერდები აქვს, სადაც შეიძლება გადაცემების მოსმენა ან ყურება ონლაინ რეზიმში, ასევე გადაცემების საარქივო ჩანაწერების გაცნობა.




- რომელიმე წიგნი თუ წაგიკითხავთ ელექტრონულ ვარიანტში?
- რომელიმე სატელევიზიო არხისთვის ინტერნეტში გიყურებიათ?

### საქმიანობა

#### პრაუზერში მუშაობა

1. გახსნით ინტერნეტის ნებისმიერი პრაუზერი;
2. მისამართების სტრიქონში შეიყვანეთ მისამართი [uzevirbook.musigi-dunya.az](http://uzevirbook.musigi-dunya.az) და დააჭირეთ ლილაკ Enter-ს. გაიხსნება საიტის მთავარი გვერდი;

3. Саиғісіл Құшылды ვარнаңғысы гасасаңындағ დაаңқаңұнект ღиляңақ Ru-ზე міс өңдеңа ңаңылыші. Айрінген ეրт-ეртін პұнжұғтың ғүйердің мәрғұбенә ңаңылыші монтаңызғыл өңдеңіңі დа ғаєңаңынот ғаєңеснілі ғүйердің мінбаарасы. Матағаң ғүйердің დааңқаңұнект өңдеңіл ғаєңаңынот өңдеңіл ғүйердің мінбаарасы;
4. დაаңқаңұнект ғүйердің өңдеңа ңаңылыші монтаңызғыл აңдаңын რомбленімі ასөні. ғаєңаңынот ғаєңеснілі ғүйердің წаңмопадғаныл იңғорнамақыса, ჟемдеге қи იңсатрұмбенғұрғыда პәндең დაаңқаңұнект ბранчыларын ღиляңақ - ზე (Back - ұзуаң);
5. კვლаң өткізең мінір ғаңбен ғүйердің დааңқаңұнект өңдеңіл ғүйердің დაаңқаңұнект იңсатрұмбенғұрғыда პәндең ღиляңақ - ზе (Forward – ნіб).



### Зерттеулер:

- Қағандың даңындағы үшіншіндең ғүйердің өңдеңіл ғүйердің Forward დа Back ғүйердің өңдеңіл ғүйердің ?
- Өткізең өткізің, қағандың даңындағы ғүйердің Forward, өткізең өткізің ғүйердің ғүйердің ғүйердің өңдеңіл ғүйердің өңдеңіл ғүйердің ?

ინტერნეტი მრავალფეროვან მომსახურებას გვთავაზობს. მათგან ყველაზე პოპულარულია W W W (World Wide Web – მსოფლიო ქსელი). მსოფლიო ქსელი არის ადგილი, სადაც შეკრებილია ინტერნეტის ყველა რესურსი. მის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სპეციალური პროგრამა – ვებბრაუზერი (ინგლ. *web-browser* – ინტერნეტმიმომხილველი).

**ბრაუზერი** საშუალებას გვაძლევს, გავხსნათ და დავათვალიეროთ ინტერნეტის სასურველი გვერდები და შევინახოთ ისინი საკუთარ კომპიუტერში, რათა მომავალში კვლავ შეგვეძლოს მათი დათვალიერება. ბრაუზერის დახმარებით შეგვიძლია გავეცნოთ როგორც ტექსტებს, ისე გამოსახულებებს. ბრაუზერთა უმრავლესობა ბგერასა და ვიდეოსაც გადმოსცემს.

ინფორმაციის ძირითადი ნაწილი ინტერნეტში ჰიპერტექსტების სახითაა შენახული. ჰიპერტექსტი არის ტექსტების ერთობლიობა, რომელიც ბმულებს შეიცავს. ბმულების საშუალებით ერთი ტექსტიდან მეორეზე გადასვლა შეიძლება. დოკუმენტს, რომელიც ინტერნეტში ჰიპერტექსტის

ფორმით ინახება, ვებგვერდი ჰქვია. საერთო თემითა და მისამართით გაერთიანებულ, ერთმანეთთან დაკავშირებულ ვებგვერდებს ვებსაიტებს უწინდებენ. ხანდახან სიტყვები „ვებგვერდი“ და „ვებსაიტი“ ერთი და იმავე მნიშვნელობითაც გამოიყენება.

### დაიმასოვანი

მსოფლიო ქსელი (www)  
ბრაუზერი  
ვებგვერდი  
ვებსაიტი  
ჰიპერტექსტი



## შევისწავლოთ დამოუკიდებლად

ბევრს მიაჩნია, რომ ინტერნეტი და მსოფლიო ქსელი ერთი და იგვეა. სინამდვილეში ასე არ არის. გაარკვით, რა განსხვავება მათ შორის.

## შეამოწევ შეიძლენ

- რით განსხვავდება ვებგვერდი ვებსაიტისგან?
- შეიძლება თუ არა ინტერნეტმომსახურებით სარგებლობა ბრაუზერის გარეშე?
- რა შემთხვევაში გამოიყენება ლილაკები Forward და Back?

## 23. პირა ინტერნეტში

სახელგანთქმული მეკობრეები თავიანთ ნაძარცვ განძეულს მიუდგომელ ადგილებში მა-ლავდნენ. ასევე ასაიდუმლოებ-დნენ იმ რუკებსაც, რომლებ-ზედაც მათი საგანძურის ად-გილმდებარეობა იყო მითი-თებული. ამგვარ რუკებს, რო-გორც წესი, შიფრავდნენ, რათა სხვებს მათი გამოყენება ვერ მოეხერხებინათ. ზოგიერთი ადამიანი დღესაც კი ცდილობს, მოძებნოს და გაშიფროს მეკობრეთა რუკები.




- რომელი ნაწარმოები წაგიკითხავთ საიდუმლო საგანძურის შესახებ?
  - რატომ თვლიან ინტერნეტს ინფორმაციის საგანძურად?

საქმიანობა

შეასრულეთ შემდეგი მითითებანი:

1. ჩართეთ პრაუზერი და გახსენით გვერდი მისამართით [www.Google.az](http://www.Google.az);



- შეიყვანეთ **ძიების** **სტრიქონში** თქვენთვის საინტერესო სიტყვა ან სიტყვათა შეთანხმება, მაგალითად: **ეგვიპტური პირამიდები**, **სპილოს ძვალი**, **კოსმოსი** და ა.შ. დააწერ აუნი ღილაზე ძიება **Google**-ში და დააჭირეთ კლავიშ **<Enter>**-ს;
  - გახსნილ გვერდზე წაიკითხეთ ბმულების სია, რომელიც საძიებო სისტემამ იპოვა. გახსენით ზოგიერთი მათგანი და გაეცანით ინფორმაციას;
  - ბრაუზერის ძიების **სტრიქონში** ჩაწერეთ სხვა ფრაზები და გააგრძელეთ ძიება:

კიბეჭოთ:

- ბევრი საიტის მისამართი შემოგთავაზათ საძიებო სისტემა?
  - ინფორმაციის რომელი სახეობა შეგხვდათ ამ რესურსებში – ტექსტი, ნახატები თუ ვიდეო?

იმ უზლვავ ინფორმაციაში, რომელიც ინტერნეტის ქსელში ინახება, ზოგჯერ ჩვენთვის საჭირო ცნობების მოძიება გვიხდება. ინტერნეტი ითვალისწინებს მომსახურებას, რომელიც ინფორმაციის მოძებნის საშუალებას იძლევა. ეს **საძიებო სისტემაა**. ქვემოთ მოყვანილია ყველაზე ცნობილი სიძიებო სისტემების ჩამონათვალი.

### დაიმაცხოველი


საძიებო სისტემა  
ძიების სტრიქონი  
საკვანძო სიტყვა

საძიებო სისტემა	მისამართი
Google	<a href="http://www.google.com">www.google.com</a>
AltaVista	<a href="http://www.altavista.com">www.altavista.com</a>
Lycos	<a href="http://www.lycos.com">www.lycos.com</a>
Yahoo!	<a href="http://www.yahoo.com">www.yahoo.com</a>
Excite	<a href="http://www.excite.com">www.excite.com</a>
Rambler	<a href="http://www.rambler.ru">www.rambler.ru</a>
Yandex	<a href="http://www.yandex.ru">www.yandex.ru</a>

ამ სისტემებში ძიების ორგანიზება ძალზე მარტივია: ძიების სტრიქონში უნდა შევიყვანოთ საკვანძო სიტყვა ჩვენთვის საინტერესო თემის შესახებ და დავაწერ პუნქტი შესაბამის ლილაზე. მაგრამ ვინაიდან ინტერნეტის ქსელში ძალზე ბევრი ინფორმაციაა, მარტო ამ ერთი სიტყვით ძიების შედეგადაც კი ასობით ან ასობით ათასი რესურსის მიღება შეიძლება. ასეთ შემთხვევაში ძიების სტრიქონში უფრო კონკრეტული ინფორმაციის შემცველი რამდენიმე სიტყვა უნდა შევიყვანოთ. მაგალითად, თუ გვსურს ინფორმაციის შეკრება სავალანის მთის შესახებ, ძიების სტრიქონში სიტყვა **სავალანი** ან სიტყვა **მთა** კი არ უნდა ჩავწეროთ, არამედ **სავალანის მთა**.

ძიების წარმართვას რამდენიმე სიტყვის გამოყენებით გარკვეული უპირატესობა გააჩნია: მნიშვნელობა არ აქვს, ტექსტის რომელ ნაწილშია ეს სიტყვები ცალ-ცალკე. ამიტომ, თუ საჭიროა იმ რესურსის ნახვა, სადაც სიტყვები სავალანი და მთა გვერდიგვერდ წერია, საძიებლად უნდა მივუთითოთ „**სავალანის მთა**“.

ბევრ საძიებო სისტემას საშუალება აქვს, მოცემული სიტყვის მიხედვით იპოვოს არა მარტო ტექსტური, არამედ გრაფიკული და ხმოვანი ინფორმაცია, ასევე ვიდეოფილმები. მაგალითად, თუ Google-ში ძიებისას გაინტერესებთ სურათები კონკრეტულ თემაზე, სისტემის მენუში უნდა აირჩიოთ ლილაკი **სურათები**.



შეგიძლიათ, საკუთარ კომპიუტერში შეინახოთ გახსნილ ვებგვერდზე მოცემული ყველა მასალა. ამისათვის ბრაუზერში უნდა აირჩიოთ ბრძანება Save As. ამის შემდეგ სასურველი გვერდის გახსნა უკვე ინტერნეტის ქსელში ჩართვის გარეშეც შეგეძლებათ იმ საქაღალდიდან, სადაც მას შეინახავთ. ის, თუ რომელი გამოყენებითი პროგრამის მეშვეობით უნდა გაიხსნას ფაილი, დამოკიდებულია შენახული გვერდის ფორმატზე, მაგალითად, ტექსტური ფაილის სახით შენახული გვერდი ტექსტურ რედაქტორში უნდა გაიხსნას.

## შევიდოთ და მოუკიდებად


ჩაატარეთ ძიება საძიებო სისტემაში ქვემოთ მოცემული საკვანძო სიტყვების გამოყენებით. ყოველი სიტყვის გასწვრივ აღნიშნეთ ძიების შედეგად ნაპოვნი რესურსების რაოდენობა. შეეცადეთ, გაარკვიოთ განსხვავებული შედეგების მიღების მიზეზი.

- აზერბაიჯანის მთები -----
- აზერბაიჯანი მთა -----
- „აზერბაიჯანის მთები“ -----

## შეამოწიე შენი ცოდნა

1. რა არის საძიებო სისტემა და როგორ მუშაობს იგი?
2. როგორ მივუთითოთ სწორად ძიების პირობები ინტერნეტში აზერბაიჯანის ხელოვნური თანამგზავრის შესახებ სხვადასხვა სახის ინფორმაციის მოსაპოვებლად ?
3. როგორ მოვიძიოთ ვიდეომასალა სასწავლო საგნების შესახებ?

## 24. ელექტრონული ფოსტა



რა საშუალებები გამოიყენება ინფორმაციის გადასაცემად?

ინტერნეტი მარტო იმიტომ არ არის პოპულარული, რომ აქ დიდი მოცულობის ინფორმაციული რესურსია თავმოყრილი. ურთიერთკავშირის ყველაზე სწრაფი სახის – **ელექტრონული ფოსტის** (e-mail) – შექმნამ ინტერნეტს საყოველთაო აღიარება მოუტანა. თუ წინათ წერილების ადრესატებამდე მიღწევას რამდენიმე დღე სჭირდებოდა, დღეს ელექტრონული ფოსტით წერილი მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში სულ რამდენიმე წამში აღწევს. ჩვეულებრივი ფოსტით წერილის გაგზავნას ადრესატის მისამართის ცოდნა სჭირდება. ელექტრონულ ფოსტაშიც თითოეულ მომხმარებელს თავისი ინდივიდუალური საფოსტო მისამართი აქვს, მაგალითად:

### დაიასახვა

ელექტრონული ფოსტა  
e-mail  
მომხმარებლის სახელი  
დომენის სახელი  
სიმბოლო@

მომხმარებლის სახელი დომენის სახელი

**anar.novruzlu@box.az**

მისამართის პირველი ნაწილი (**anar.novruzlu**) მომხმარებლის სახელზე, ანუ მასზე მიუთითებს, ვისაც მოცემული მისამართი ეკუთვნის. მისამართის ამ ნაწილს მომხმარებელი თავად ირჩევს. მისამართის მეორე ნაწილი (**box.az**) მიანიშნებს იმაზე, თუ სად მდებარეობს მოცემული საფოსტო ყუთი. მას კიდევ „დომენის სახელსაც“ უწოდებენ. მომხმარებლისა და დომენის სახელები ერთმანეთისგან სპეციალური სიმბოლოთი – @-თია გამოყოფილი. ელექტრონული ფოსტის მისამართი ლათინური ასოებით იწერება, შუალედების გარეშე.

ელექტრონული ფოსტა ერთ-ერთია ინტერნეტის უამრავ მომსახურებათა შორის. დღეს ბევრი საიტი უფასო მომსახურებას გვთავაზობს.

## საქმიანობა

შეასრულეთ მოცემული მითითებანი და შექმნით საკუთარი საფოსტო ყუთი საფოსტო სამსახურ **box.az**-ში.

1. ბრაუზერის მისამართების სტრიქონში შეიყვანეთ [www.box.az](http://www.box.az) და დაჭირეთ კლავიშ **<Enter>**-ს. გაიხსნება შემდეგი ფანჯარა.



2. დააწერ ლილაკ **Регистрация!** -ზე. გაიხსნება ახალი გვერდი.




3. სტრიქონ **Login**-ში შეიყვანეთ სახელი, რომელიც თქვენი ფოსტისთვის შეარჩიეთ. ეს სახელი დაემატება მისამართის ნაწილს **@box.az**. მაგალითად, თუ სტრიქონში შეიყვანი სიტყვებს: **anar.norvuzlu**, თქვენი მთლიანი ელექტრონული მისამართი იქნება **anar.norvuzlu@box.az**;

**შენიშვნა:** თუ თქვენ მიერ არჩეული მისამართი მანამდე სხვას ჰქონდა გამოყენებული, ამას შეგატყობინებენ. ამ შემთხვევაში მისი შეცვლა მოგონევთ, მაგალითად, **anar.norvuzlu2002**;

4. საფოსტო ყუთის დასაცავად მოიგონეთ პაროლი. შეიყვანეთ ის სტრიქონ **Password**-ში. ეს პაროლი იქნება თქვენი საფოსტო ყუთის გასაღები. საიმედობისთვის პაროლი უნდა შედგებოდეს როგორც ასოების, ისე ციფრებისაგან, მაგალითად: **Fabr2tn9**. ჩაინერეთ პაროლი საიმედო ადგილას ისე, რომ თუ დაგავიწყდებათ, მისი ნახვა შეგეძლოთ;

5. ეს პაროლი კიდევ ერთხელ შეიყვანეთ სტრიქონში ბაიმეორე პაროლი;
6. დაბადების თარიღის გრაფაში შეიყვანეთ თქვენი დაბადების დღე, თვე და წელი;

7. აირჩიეთ შეკითხვა საიდუმლო ჰეპიმენტის გრაფაში. ჩაწერეთ შესაბამისი პასუხი საიდუმლო ასახელის გრაფაში. ამ გრაფების შევსება როდისმე შეიძლება გამოგადგეთ. მაგალითად, პაროლის დავინუბის შემთხვევაში შესაძლოა ხელმეორედ დაგისვან იგივე შეკითხვა, რომელიც თავდაპირველად აირჩიეთ და თუ პასუხს სწორად აირჩევთ, საფოსტო სერვერი საშუალებას მოგცემთ, დავინუბული პაროლის ნაცვლად ახალი შექმნათ.
8. გრაფაში შეიყვანეთ ტექსტი, რომელიც ნახატზეა მითითებული, ცარიელ სტრიქონში ჩაწერეთ ორი ძნელად ამოსაკითხი სიტყვა. ამის მიზანია ვირუსებისგან საფოსტო სამსახურის დაცვა;
9. განყოფილება მეორებარისხოვნები შეგიძლიათ, არ შეავსოთ;
10. დააწეაბუნეთ ლილაკზე დარეგისტრირება. ახლად გახსნილ ფანჯარაში გამოისახება სტრიქონი თქვენი ელექტრონული მისამართით;
11. შეიყვანეთ პაროლი და დააწეაბუნეთ ლილაკ **Войти >>** -ზე . გაიხსნება თქვენი საფოსტო ყუთის გვერდი.



## შეიტანეთ დამოუკიდებლად

შეაგროვეთ ინფორმაცია ფოსტის შესახებ საიტიდან [www.mincom.gov.az](http://www.mincom.gov.az) და სხვა წყაროებიდან. შეავსეთ ცხრილი.

	ტრადიციული	ელექტრონული
როგორ აღწევს წერილი ადრესატამდე		
რა დროში მიღის წერილი		
რა შეიძლება გაიგზავნოს წერილით		

## შეამოცი შენი ცოდნა

- რა ნაკლი აქვს ტრადიციულ ფოსტას?
- ქვემოთ მოცემული მისამართებიდან რომელი შეიძლება იყოს ელექტრონული ფოსტის მისამართი?

ayla@mail

anar.m@yahoo.com

aslan93\$box.az

anar.m@gov.az

ss-pp@gmail.com

## 25. მიწოდებულის განვითარების ფორმები



თქვენ უკვე გაქვთ საკუთარი ელექტრონული ფოსტის მისამართი. ახლა მეგობრებთან მიწერ-მოწერის დაწყებაც შეგიძლიათ. მაგრამ ამისათვის თქვენი კომპიუტერი ინტერნეტში უნდა იყოს ჩართული.


- რა არის საჭირო ტრადიციული წერილის გასაგზავნად?

საფოსტო პროგრამების მრავალფეროვნების მიუხედავად, მათ წერილების გასაგზავნ გვერდებს მსგავსი სტანდარტული ელემენტები აქვს. წერილის ზედა ნაწილში, – იქ, სადაც არის ველი ვის, – იწერება ადრესატის (ვისაც წერილს უგზავნით)

ელექტრონული მისამართი. თემის ველში აუცილებელია გზავნილის მოკლე შინაარსის მითითება სათაურის ფორმით. წერილის ძირითად ველში თავსდება ტექსტი.

წერილის მიმღების მისამართი

გზავნილის შინაარსის მოკლე აღნერილობა




წერილის ტექსტი აქ იწერება

**წერილების მიღება.** თუ ელექტრონულ ფოსტაში ახალი წერილები მოვიდა, როგორც კი საფოსტო პროგრამა ჩაირთვება, ისინი მაშინვე გამოისახება საქალალე შემოსულებები. თუ ამ საქალალდეზე დავაწკაპუნებთ, გაიხსნება თქვენს ფოსტაში შემოსული წერილების ნუსხა. აქვე ნახავთ

ინფორმაციას იმის შესახებ, თუ ვისგან არის წერილი გამოგზავნილი, როდის, რა თემაზეა, როდის მოხვდა საფოსტო ყუთში. თემაზე (სათა-ურზე) დაწერაპუნებით წერილი გაიხსნება და შეგიძლიათ მთელი ტექსტის წაკითხვა.

### დაიმახსოვრე

ადრესატი  
წერილის თემა  
ლიმილი  
სპამი



არსოდეს გახსნათ უცნობი ადამიანისგან და უცნობი მისამართიდან გამოგზავნილი წერილები! ეს არის უსაფრთხოების პირველი ღონისძიება თქვენი კომპიუტერის ვირუსებისგან დასაცავად!

**წერილის გაგზავნა** შეტყობინების მომზადება ელექტრონულ ფოსტაში ტექსტურ რედაქტორში ტექსტის შექმნის მსგავსად ხდება: კრეფთ წერილის ტექსტს, ამასთან, შეგიძლიათ სურვილისამებრ ცვალოთ შრიფტი, გამოყოთ ცალკეული სიტყვები.

### საქმიანობა


ქვემოთ მოცემული მითითებების მიხედვით გაგზავნეთ წერილი ნაცნობ ელექტრონულ მისამართზე.

1. გახსენით საიტი, რომელშიც თქვენი ფოსტაა შექმნილი ([www.box.az](http://www.box.az)).
2. აკრიფეთ მომხმარებლის სახელი, პაროლი და შედით თქვენს საფოსტო ყუთში;
3. ფანჯრის მარცხენა ნაწილში დააწერუნეთ პუნქტ -ზე ფანჯრის მარჯვენა ნაწილში გაიხსნება სუფთა ფურცელი, რომელზედაც წერილის ტექსტი იწერება;
4. ველში ვის ჩაწერეთ მისი ელექტრონული ფოსტის მისამართი, ვისთვისაც წერილის გაგზავნას აპირებთ. სხვათა მორის, წერილის გაგზავნა საკუთარი თავისთვისაც შეგიძლიათ. ამ შემთხვევაში სტრიქონში თქვენს E-mail-ს ჩაწერთ;
5. ველში 0108 მიუთითეთ წერილის თემა, მაგალითად, **შეტყობინება**. შეგიძლიათ, თემა არც ჩაწეროთ, მაგრამ ზოგადად ამ სტრიქონის შევსება სასურველია. ძალიან ხშირად იმ წერილებს, რომლებშიც თემა მითითებული არ არის, საფოსტო სისტემა სარეკლამო, არასაჭირო გზავნილებად მიიჩინებს და სპამში აგზავნის. ასეთ შემთხვევაში ადრესატმა შეიძლება ვერც კი შენიშნოს წერილი;

6. გადადით წერილის ტექსტის ველში, აკრიფეთ და გაარედაქტირეთ ტექსტი, მაგალითად:

გამარჯობა, რუსლან!

ახლა უკვე მეც მაქვს ელექტრონული ფოსტა და შეგვიძლია, მიწერ-მოწერა ვიქონიოთ. თუ გაქვს, იქნებ თორლულის ელექტრონული მისამართი გამომიგ ზავნო. შენი მეგობარია ალი

7. წერილის გასაგზავნად დააწაპუნეთ ღილაკ  -ზე თუ ადრესა-ტის მისამართი ნამდვილია, თქვენ მიიღებთ შეტყობინებას წერილის გაგზავნის შესახებ.

ელექტრონულ მიმოწერას გარკვეული თავისებურებები გააჩნია, მაგალითად, ემოციების გამოსახატავად წერილებში ხშირად იყენებენ სპეციალურ სიმბოლოთა (ე.წ. ღიმილების) თანამიმდევრობას. თითოეულ სიმბოლოს თავისი მნიშვნელობა აქვს: ორწერტილი თვალს ნიშნავს, დეფისი – ცხვირს, ფრჩხილი – პირს. ქვემოთ მოყვანილია ყველაზე გავრცელებული ღიმილების ნიმუშები.

გამოსახულება	მნიშვნელობა
:)	ღიმილი
;)	თვალის ჩაკვრა
:))))	სიცილი
:-)	იმედგაცრუება
:-(((	სასოწარკვეთილება
:-0	გაოცება

## შევისცავლოთ დაოცნების გადასახმარებლად

თუ გსურთ წერილის ერთდროულად რამდენიმე ადრესატისთვის გაგზავნა, მათი ელექტრონული მისამართი **Cc** ველში უნდა შეიყვანოთ.


დაწერეთ ახალი წერილი და გაუგზავნეთ იგი ერთბაშად რამდენიმე ადრესატს. წერილში გამოიყენეთ ღიმილები.

## შეამოციო შევი ცოდნა

- რა ნაწილებისგან შედგება ელექტრონული წერილი?
- შესაძლებელია თუ არა, რომ ერთსა და იმავე მომხმარებელს რამდენიმე საფოსტო ყუთი ჰქონდეს?

## පොරාජාවකාලීන දායාලුවකාපන

- დაალაგეთ სათანადო თანამიმდევრობით ინფორმაციულ რესურსებზე მუშაობის ეტაპები.
    - ინფორმაციის შეკრება;
    - მიზნის დასახვა;
    - ინფორმაციის სისტემატიზება;
    - ინფორმაციის გავრცელება;
    - ინფორმაციის წარმოდგენის ფორმის შერჩევა.
  - რომელი საიტების გამოყენება შეიძლება ინტერნეტში ინფორმაციის მოსაძიებლად?
  - როგორ მოიძიებდით ინტერნეტში ინფორმაციას აზერბაიჯანელი ოლიმპიური ჩემპიონების შესახებ?
  - შეცვალეთ მცდარი გამონათქვამები ჭეშმარიტით.
    - ინტერნეტრესურსებივებგვერდებზეაგანთავსებული.
    - Good.az ერთ-ერთი ინტერნეტბრაუზერია.
    - ელექტრონული ფოსტა ინტერნეტმომსახურების ერთ-ერთი ფორმაა.
    - ელექტრონული ფოსტის მისამართში მომხმარებლისა და დომენის სახელები ერთმანეთისგან \$ სიმბოლოთია გამოყოფილი.
    - ელექტრონული ფოსტით მხოლოდ მეზობლებთან მიმოწერა შეიძლება.
    - კომპიუტერიდან ელექტრონული წერილის გასაგზავნად აუცილებელია კომპიუტერის ინტერნეტში ჩართვა.
    - ელექტრონულ წერილებში აუცილებელია საცხოვრებელი ადგილის მითითება.



**ALPLogo-ს პროგრამული  
გარემოს ბრძანებები**

№	ბრძანება	ბრძანების ფორმატი	ბრძანების განმარტება და მაგალითი
1	bağanıgizlə კუს დამალვა hideturtle	დამალე კუ	კუ ეკრანიდან ქრება <b>დამალე კუ</b>
2	bağanıgöster კუს გამოჩენა showturtle	გამოაჩინე კუ	კუ ეკრანზე გამოჩენდება <b>გამოაჩინე კუ</b>
3	dəyişən ცვლადი variable	ცვლადი X	ცხადდება ცვლადი X <b>ცვლადი a1</b> ცვლადისთვის რაიმე მნიშვნელობის მისანიჭებლად კუთვნილების ნიშანი (=) გამოიყენება. გამოსახულება <b>a1 = 5</b> ნიშანავს: „მიანიჭე ცვლად <b>a1</b> -ს 5-ის მნიშვნელობა“.



4	əgər ... əkshalda təŋ ... təŋ ərə də if ... else	təŋ (პირობა) [პრძანება 1] təŋ ərə də [პრძანება 2]	თუ „პირობა“ ჭეშმარიტია, სრულდება ჯგუფ „პრძანებები 1“-ში შემავალი პრძანებები, თუ არა და ჯგუფ „პრძანებები 2-“-ის პრძანებები. <b>თუ (c1 &lt; c2)</b> [დაწერე „c1 ნაკლებია c2- ზე“] <b>თუ არა და</b> [დაწერე „c1 c2-ზე ნაკლები არ არის“] თუ პირობის შეუსრულებლობის შედეგს მნიშვნელობა არა აქვს, ის შეიძლება არ ვაჩვენოთ.  <b>თუ (c1 &lt; 2)</b> [min = c1]
5	geri უკან backward	უკან N	კუ უკან იხევს N ნაბიჯზე. აქ ერთი ნაბიჯი ეკრანის ერთ წერტილს (პიქსელს) უთანაბრდება.  <b>უკან 50</b>
6	get ნადი go	იარე X,Y	კუ გადაინაცვლებს წერტილზე, რომლის კოორდინატებია (X,Y).  <b>იარე 200, 300</b>
7	ilkinvəziyyət სახლში home	სახლში	კუ იკავებს საწყის მდებარეობას ველის ცენტՐში. ამ დროს მას თავი აწეული აქვს.  <b>სახლში</b>

8	irəli ნინ forward	ნინ N	კუ წინ მიიწევს N ნაბიჯით. ერთი ნაბიჯი ეკრანის ერთ წერტილს (პიქსელს) უდრის. <b>ნინ 100</b>
9	musiqi მუსიკა music	მუსიკა N, S	დაუკარი N მელოდია S სიჩქარით. N მუსიკალური ფაილის სახელია, ხოლო S – მელოდის დაკვრის სიჩქარე. <b>მუსიკა Qamma.alm, 80</b>
10	qələmiyendir კალმის დაწევა pendown	კალამი დასწიე	კუ დასწევს კალამს, რათა გადაადგილებისას ნაკვალევი დატოვოს. <b>კალამი დასწიე</b>
11	qələmiqaldır კალმის აწევა penup	კალამი ასწიე	კუ ასწევს კალამს, რათა გადაადგილებისას ნაკვალევი არ დატოვოს. <b>კალამი ასწიე</b>
12	qələminrəngi კალმის ფერი pencolor	კალმის ფერი N	აირჩევა N ფერის კალამი. N ნატურალური რიცხვია, რომელიც იღებს მნიშვნელობას 0-დან 15-მდე: 0 – შავი 1 – ლურჯი 2 – მწვანე 3 – ცისფერი 4 – ნითელი 5 – იასამნისფერი 6 – ყვითელი 7 – ოქთონი 8 – ლია მწვანე 9 – ზეთისხილისფერი (მომწვანო-მოყვითალო) 10 – ვერცხლისფერი 11 – შინდისფერი 12 – იისფერი 13 – ფირუზისფერი 14 – მუქი ლურჯი 15 – ნაცრისფერი <b>კალმის ფერი 4</b>



13	qələmineni კალმის სისქე penwidth	კალმის სისქე N	აირჩიეთ კალამი, რომელიც N სისქის ხაზს ავლებს. <b>კალმის სისქე 3</b>
14	sağa მარჯვნივ right	მარჯვნივ N	კუ შებრუნდება მარჯვნივ N გრაფუსით. <b>მარჯვნივ 90</b>
15	sil ნაშალა clean	ნაშალე	სამუშაო ველის გათავისუფლება. <b>ნაშალე</b>
16	sola მარცხნივ left	მარცხნივ N	კუ შებრუნდება მარცხნივ N გრაფუსით. <b>მარცხნივ 60</b>
17	təkrarla გაიმეორე repeat	გაიმეორე N (პრძანებები)	კვადრატულ ფრჩხილებში [ ] მოთავსებული ბრძანებები N -ჯერ მეორდება. <b>გაიმეორე 4 [ნიჩ 100 მარჯვნივ 90]</b>
18	yaz დაწერე write	დაწერე N	გამოაქვს სამუშაო ველში N-ის მითითებული მნიშვნელობა. N შეიძლება იყოს როგორც რიცხვი, ისე სიმბოლოთა სტრიქონი, სიმბოლოთა სტრიქონი ბრჭყალებში ისმება. <b>დაწერე 2013 დაწერე „სალამი“</b>
19	yazınlınlöçüsü ტექსტის ზომა textsize	ტექსტის ზომა N	ტექსტის შრიფტის ზომა აღინიშნება N პუნქტით. N ნატურალური რიცხვია; როცა N=0, ავტომატურად ყენდება 12 პუნქტის ზომის შრიფტი. <b>ტექსტის ზომა 14</b>

## ნიგნში გამოყენებული ინგლისური სიტყვები და ფრაზები

სიტყვა ან ფრაზა	გამოთქმა	თარგმანი
All Programs	ოლ პროგრამს	ყველა პროგრამა
Back	ბექ	უკან
Bold	ბეულდ	მუქი
Browser	ბრაუზერ	ბრაუზერი
Click to add text	ქლიქ თუ ედ თექსთ	ტექსტის დასამატებლად დააწერეთ თაგვით
Click to add title	ქლიქ თუ ედ თაითლ	სათაურის დასამატებლად დააწერეთ თაგვით
Click to add at outline	ქლიქ თუ ედ აუთლაან	კონტურის დასამატებლად დააწერეთ თაგვით
Desktop (Create shortcut)	დესქტოპ (ქრიეით შორთქათ)	სამუშაო მაგიდა (შექმენით იარლიყი)
Double-click to add graphics	დაბლ-ქლიქ თუ ედ გრეფიქს	გრაფიკის დასამატებლად ორჯერ დააწერეთ თაგვით
Enter	ენთე	შეყვანა
Esc (escape)	ესქეიფ	გამოსვლა
File	ფაილ	ფაილი
File name	ფაილ-ნეიმ	ფაილის სახელი
Font	ფონტ	შრიფტი
Font Color	ფონტ-ქალა	შრიფტის ფერი
Font Size	ფონტ-საიზ	შრიფტის ზომა
Forward	ფორვად	წინ

<b>Home</b>	პოუმ	საწყისი, საშინაო
<b>Insert</b>	ინსეთ	ჩასმა
<b>Italic</b>	ითელიქ	კურსივი
<b>Layouts</b>	ლეიაჟთ	მაკეტები
<b>Line Spacing</b>	ლაინ-სფერისინგ	სტრიქონთშორისი ინტერვალი
<b>My Documents</b>	მაი დოქიუმენტის	ჩემი საბუთები
<b>My Pictures</b>	მაი ფიქჩები	ჩემი სურათები
<b>New</b>	ნიუ	ახალი
<b>New Slide</b>	ნიუ-სლაიდ	ახალი ნსლაიდი
<b>Number of copies</b>	ნამბა ოფ ქოფიზ	ასლების რაოდენობა
<b>Open</b>	ეუფენ	გახსენი
<b>Presentation</b>	ფრეზენთენიშნ	პრეზენტაცია
<b>Print</b>	პრინტ	დაბეჭდევა
<b>Save</b>	სეივ	შეინახე
<b>Save As</b>	სეივ ეზ	შეინახე, როგორც...
<b>Select Printer</b>	სილექტ პრინტა	აირჩიე პრინტერი
<b>Sent to</b>	სენთ თუ	გაგზავნე
<b>Slides pane</b>	სლაიდს ფეინ	სლაიდების პანელი
<b>Slide Show</b>	სლაიდ-შოუ	სლაიდების ჩვენება
<b>Spacebar</b>	სფეიზ ბა	კლავიში ჰარი
<b>Tasks pane</b>	თასქ ფეინ	ამოცანათა პანელი
<b>Title Slide</b>	თაითლ სლაიდ	სატიტულო სლაიდი
<b>Title, Text</b>	თაითლ თექსტ	სათაური, ტექსტი
<b>Title, Text, Clipart</b>	თაითლ, თექსტ ქლიფარტ	სათაური, ტექსტი, კლიპარტი
<b>Undo</b>	ანდუ	გაუქმება
<b>Workspace</b>	ვექ სფეიზ	სამუშაო ველი (არე)
<b>World Wide Web</b>	ველდ ვაიდ ვებ	მსოფლიო ქსელი

Microsoft Office Word	მაიკროსოფთ ოფის ვედ
Microsoft PowerPoint	მაიკროსოფთ ფაუე ფოინთ
OpenOffice Impress	ეუფენ ოფის იმპრეს
Open Office Writer	ეუფენ ოფის რაიტე

Times New Roman	თაიმზ ნიუ როუმენ
Arial	ერიელ
Courier	ქერიე
Comic Sans MS	ქომიქ სენზ ემ ეს
Tahoma	ტაჰომა
Verdana	ვერდანა
<b>Impact</b>	იმპექტ

## სახელმძღვანელოში გამოყენებული შემოკლებები (აბრევიატურები)

შემოკლებები	სრული ჩანაწერი		თარგმანი
	ჩანაწერი	გამოთქმა	
CD	სი-დი	Compact Disk	კომპაქტდისკი
CD-R	ს-დი ერ	Compact Disc Recordable	გადასაწერი კომპაქტდისკი
CD-ROM	სი-დი-რომ	Compact Disk – Read-Only Memory	ძროლოდ წასაკითხად განკუთვნილი კომპაქტდისკი
CD-RW	სი-დი ერ-ვე	Compact Disc Read-Write	მრავალჯერადად გადასაწერი კომპაქტდისკი
DVD	დი-ვი-დი	Digital Video Disk	ციფრული ვიდეოდისკი
HDD	ეიჩ-დი-დი	Hard Disk Drive	მყარ დისკზე გადამტანი
RAM	რამ	Random Access Memory	ოპერატიული დამამახსოვრებელი მოწყობილობა

**İNFORMATİKA – 6**  
*Ümumtəhsil məktəblərinin 6-cı sinfi üçün  
Informatika fənni üzrə dərslik  
Gürcü dilində*

**Tərtibçi heyət:**

Müəlliflər: **Ramin Əli Nazim oğlu Mahmudzadə**  
**İsmayıllı Calal oğlu Sadıqov**  
**Naidə Rizvan qızı İsayeva**

Tərcüməçi	<b>L.Bakradze</b>
Redaktor	<b>S.Nozadze</b>
Bədii redaktor	<b>T.Məlikov</b>
Texniki redaktor	<b>Z.İsayev</b>
Dizayner	<b>E.Çikarışvili</b>
Rəssamlar	<b>M.Hüseynov, E.Məmmədov</b>
Korrektor	<b>L.Umikaşvili</b>

Dərsliyin gürcü dilində nəşri “Deogene” nəşriyyatı ilə birgə həyata keçirilmişdir.

*Azərbaycan Respublikası Təhsil Nzirliliyinin qrif nömrəsi: 2017-019*

**© Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyi – 2017**

Müəlliflik hüquqları qorunur. Xüsusi icazə olmadan bu nəşri və yaxud onun hər hansı hissəsini yenidən çap etdirmək, suratını çıxarmaq, elektron informasiya vasitələri ilə yaymaq qanuna ziddir.

Hesab-nəşriyyat həcmi 4,7. Fiziki çap vərəqi 6. Səhifə sayı 96.  
Kağız formatı  $70 \times 100^1 / _{16}$ . Ofset kağızı. Məktəb qarnituru. Ofset çapı.  
Tiraj 200. Pulsuz. Bakı – 2017

“Bakı” nəşriyyatı  
Bakı, AZ1001, H.Seyidbəyli küç. 30